

2021 წ.

საქართველოში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და პროფესიის განვითარების გზამკვლევი



მაია წულაძე
ქეთი მარგალიტაძე



ევროკავშირი საქართველოსთვის Human Rights 4All



დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი	- 5 -
ტერმინთა განმარტება.....	- 6 -
აბრევიატურები.....	- 8 -
საქართველოში ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების ლეგალური საფუძვლები	- 10 -
ქესტური ენები და ქესტური ენის თარჯიმნის საქმიანობა	- 11 -
ქესტური ენები.....	- 11 -
ქესტური ენის ინტერპრეტატორის/თარჯიმნის საქმიანობა/მომსახურება.....	- 12 -
ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურება ევროპაში	- 16 -
ქესტური ენის თარჯიმნების მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში	- 19 -
ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიონალიზაცია აშშ-ში	- 21 -
ქესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და ლიცენზირების სისტემა	- 22 -
სპეციალიზაცია	- 24 -
ქესტური ენის თარჯიმანი საქართველოს კონტექსტში.....	- 25 -
ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურების სფეროები საქართველოში	- 25 -
ქესტური ენის თარჯიმნების მომზადება და პროფესიის განვითარება	- 26 -
შესავალი - საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების აქტუალურობა.....	- 30 -
რეკომენდაცია N1 - სამუშაო ჯგუფის ფორმირება	- 31 -
რეკომენდაცია N2 - ქართული ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით ყრუთა თემის საჭიროებების კვლევა.....	- 32 -
რეკომენდაცია N3 - ქართული ქესტური ენის სწავლების სტანდარტის და ენის ფლობის დონეების შემუშავება.....	- 32 -
რეკომენდაცია N4 - ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტის შემუშავება.....	- 34 -
რეკომენდაცია N5 - ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის ფორმალური აღიარება	- 35 -
რეკომენდაცია N6 - ქართული ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავება	- 36 -
ქართული ქესტური ენის თარჯიმნების სასერტიფიკატო პროგრამები.....	- 38 -
პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები	- 39 -
ქართული ქესტური ენის თარჯიმნის საუნივერსიტეტო პროგრამები	- 41 -

რეკომენდაცია N7 - ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება - რეესტრისა და სერტიფიცირების სისტემა	42 -
ჟესტური ენის თარჯიმნების რეესტრი.....	42 -
პროფესიული სერტიფიცირების სისტემის შემუშავება	44 -
რეკომენდაცია N8 - ჟესტური ენის თარჯიმნების ეროვნული პროფესიული ასოციაციის ფორმირება.....	47 -
რეკომენდაცია N9 -საკანონმდებლო დოკუმენტებში სათანადო პროფესიული ტერმინის - „ქართული ჟესტური ენის თარჯიმანი“ დამკვიდრება	48 -
გამოყენებული წყაროები.....	49 -
დანართი N1 - NAD-RID-ის პროფესიული ქცევის კოდექსი.....	52 -
დანართი N2 - ავსტრალიაში ჟესტური ენის თარჯიმნის სერტიფიცირების ტესტის მაგალითი ..	60 -
დანართი N3 - ჟესტური ენის თარჯიმნების მსოფლიო ორგანიზაციის (WASLI) სარეკომენდაციო პროცესი ჟესტური ენის თარჯიმნების ეროვნული გაერთიანების ფორმირებისთვის.....	61 -

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მხარდაჭერით.

გზამკვლევი შემუშავებულია საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და პროფესიის განვითარების სისტემის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად.

დოკუმენტი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

I ნაწილი - გზამკვლევის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ქესტური ენის თარჯიმნის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის, ჩამოყალიბების საერთაშორისო გამოცდილება და წამყვან ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიცირების და პროფესიის განვითარების ისტორიული პროცესები და ამჟამად არსებული სისტემა; ასევე, მიმოხილულია საქართველოს კონტექსტში ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებული საჭიროებები და რესურსები და გაანალიზებულია სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი მარეგულირებელი დოკუმენტი.

II ნაწილი - გზამკვლევის მეორე ნაწილში, წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოში ქესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირებისა და პროფესიის განვითარებისთვის განსაზღვრული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული რეკომენდაციები ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და ადგილობრივი კონტექსტის ანალიზს.

დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საერთაშორისო კვლევასა და საერთაშორისო და ადგილობრივ დოკუმენტს. ამასთანავე, საქართველოს კონტექსტის მიმოხილვისას გამოყენებული გარკვეული მონაცემები, ეფუძნება საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ტერმინთა განმარტება

ქესტური ენის ინტერპრეტატორი - ადამიანი, რომელიც სალაპარაკო ან ქესტურენოვან შეტყობინებას გადასცემს მეორე ენაზე. ქესტური ენის ინტერპრეტატორის საქმიანობა, თარგმანსაც შეიძლება მოიცავდეს. (მაგ. წერილობითი ინფორმაციის კონვერტირება ქესტურ ენაზე).

ინტერპრეტაცია - სალაპარაკო ან ქესტური ენით გადმოცემული შეტყობინების გაგებისა და ანალიზის პროცესი და ამ შეტყობინების განმეორებით გამოხატვა სხვა ენაზე, კულტურული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით.

ინტერპრეტაციის/თარგმნის დავალება - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ქესტური ენის ინტერპრეტატორი/თარგმანი ასრულებს თავის მოვალეობებს.

ქესტური ენის თარგმანი - ტერმინი, რომელიც საქართველოს კონტექსტში ქესტური ენის ინტერპრეტატორის ჩამნაცვლებლად გამოიყენება.

მხედველობით/ვიზუალური თარგმანა - წერილობითი დოკუმენტის თარგმანი ქესტურ ენაზე. თარგმანი კითხულობს ერთ ენაზე დაწერილ დოკუმენტს და ახდენს მის სიმულტანურ ინტერპრეტაციას მეორე ენაზე.

პროფესიონალიზაცია - მოძრაობა პროფესიის დაფუძნებისკენ, რომელიც მიისწრაფვის მისაღები კვალიფიკაციის და პროფესიული ასოციაციის დამკვიდრებისკენ, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას, პროფესიის წარმომადგენელთა საქმიანობის ზედამხედველობას და არაკვალიფიციური და კვალიფიციური პირების ერთმანეთისგან გამოჯვნას (მაგ.: პროფესიული სერტიფიცირების შედეგად).

პროფესიული სტანდარტი - პროფესიული სტანდარტი არის პრაქტიკის, ეთიკისა და ქცევის ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული პროფესიული ჯგუფის წევრებმა უნდა დაიცვან. პროფესიული სტანდარტები, როგორც წესი, მიღებული და აღიარებულია იმ მმართველი ორგანოს მიერ, რომელიც კონკრეტული პროფესიული ჯგუფის ინტერესებს წარმოადგენს.

პროფესიული ქცევის კოდექსი - ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლების ქცევას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.

ქესტური ენები - ენები, რომლებიც იყენებენ ვიზუალურ-მანუალურ მოდალობას მნიშვნელობის გადმოსაცემად. ქესტური ენები გამოიხატება მანუალური არტიკულაციის საშუალებით, არამანუალურ ელემენტებთან ერთად. ქესტური ენები სრულფასოვანი ბუნებრივი ენებია, რომლებსაც აქვთ საკუთარი გრამატიკა და ლექსიკა. ქესტური ენა გამოიყენება ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს შორის და ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებსა და სმენის მქონე ადამიანებს შორის კომუნიკაციის მიზნით.

სერტიფიცირება - პროცესი, რომლის დროსაც სერტიფიკატის გამცემი ორგანო (როგორც წესი, სამთავრობო ან პროფესიული ორგანიზაცია) ფორმალურ შეფასებაზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ კანდიდატს აქვს კონკრეტული მომსახურების გაწევის კვალიფიკაცია და აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ გარკვეულ საკვალიფიკაციო სტანდარტებს.

სპეციალიზაცია - პრაქტიკოსების მიერ კონკრეტულ სფეროებში უფრო მაღალი დონის კომპეტენციის მოპოვების პრაქტიკა.

სურდოთარჯიმანი - ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების თარჯიმანი. აღნიშნული ტერმინი მომდინარეობს სურდოლოგიიდან (ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების მასწავლებელი, რომელიც ორიენტირებულია „*დეფექტის კორექციასა*“ და სწავლებაზე) და წარმოადგენს ქესტური ენის ინტერპრეტატორის/თარჯიმნის წინამორბედ ტერმინს.

ქესტური ენის ინტერპრეტატორების/თარჯიმნების რეესტრი - ქესტური ენის ინტერპრეტატორების და თარჯიმნების რეგისტრაციის, ტესტირების და სერტიფიცირების ეროვნული ორგანო, რომელსაც შემუშავებული აქვს ქესტური ენის ინტერპრეტატორების ეროვნული სტანდარტი და ხელს უწყობს მისი წევრების უწყვეტ განვითარებას. რეესტრი აწარმოებს პროფესიის წარმომადგენლების რეგისტრაციას, რაც გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისთვის პირისთვის გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭებასა და ვალდებულებების განსაზღვრას. რეესტრი ასევე ახდენს კვალიფიკაციის დადასტურებას, სერტიფიცირების (ან ლიცენზიის) ვადის გასვლის შემდგომ. ზოგიერთ ქვეყანაში ქესტური ენის ინტერპრეტატორების/თარჯიმნების რეესტრი ასევე, ახდენს საზოგადოების განათლებას ინტერპრეტატორების და თარჯიმნების სამუშაოს სასიცოცხლო როლის შესახებ ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის თანაბარი შესაძლებლობების და მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ლიცენზირება - პროცესი, რომლის დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე გასცემს სპეციალურ ნებართვას ფიზიკურ პირებზე კონკრეტულ სფეროში საქმიანობის წარმართვისთვის. აღნიშნული ნებართვა ადასტურებს იმას, რომ პირის გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა ამ პროფესიაში მუშაობისთვის. შესაბამისად, ლიცენზირება გულისხმობს კონკრეტულ სფეროში პროფესიული მოღვაწეობისათვის ოფიციალური ნებართვის მინიჭებას.

პროფესიონალად აკრედიტაცია - ზოგიერთ ქვეყანაში „აკრედიტაცია“ სერტიფიცირების ჩამნაცვლებლად გამოიყენება და გულისხმობს ქმედებას/პროცესს, რომელიც ოფიციალურად ცნობს პირს როგორც კონკრეტული სტატუსის მქონეს ან კონკრეტული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონეს.

საერთაშორისო ქესტი (International Sign -IS) - საერთაშორისო ქესტი არ არის ენა, არამედ წარმოადგენს სხვადასხვა ეროვნული ქესტური ენის მომხმარებელი ყრუ ადამიანების საკონტაქტო, საკომუნიკაციო საშუალებას, რომელიც ყრუ ადამიანებს საერთაშორისო შეხვედრებისა და ღონისძიებების შედარებით ფორმალურ კონტექსტში ერთმანეთთან

კომუნიკაციის შესაძლებლობას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჟესტი სინტაქსურად შედარებით ღარიბია, ის იყენებს იმ ძირითად გრამატიკულ მახასიათებლებს, რომლებიც საერთოა ჟესტური ენების უმეტესობისთვის (მაგ.: სივრცის გამოყენება, მიმართულება, პერსონიფიკაცია, მიმიკა და სხვა).

საერთაშორისო ჟესტების ინტერპრეტატორი (International Sign Interpreter - IS) - არის ინტერპრეტატორი (თარჯიმანი), რომელიც თავისუფლად ფლობს მინიმუმ ერთ ეროვნულ ჟესტურ ენას (და, ჩვეულებრივ, ორ ან სამს), რომელიც ასევე თავისუფლად ფლობს მინიმუმ ერთ სასაუბრო/წერილობით ენას (სულ მცირე ინგლისურს), და ვინც ახდენს ინტერპრეტაციას/თარგმნას, როგორც წესი, სიმულტანურს, იმ ფორმალურ შეხვედრებზე (მაგ.: საერთაშორისო ფორუმები, გაეროს შეხვედრები), სადაც სხვადასხვა ეროვნული ჟესტური ენით მოსარგებლე ყრუ ადამიანები იკრიბებიან.

აბრევიატურები

ACTFL - American Council on the Teaching of Foreign Languages

ASL – American Sign Language

ASLTA –American Sign Language Teachers Association

ASPA - Association of Specialized and Professional Accreditors

CCIE - The Commission on Collegiate Interpreter Education

CCSS ELA - The Common Core State Standards for English Language Arts

CIT - Conference of Interpreter Trainers

CMP - Certification Maintenance Program

CODA -Children of Deaf Adults

EEA - Educational Equivalency Application

EIPA - Educational Interpreter Performance Assessment

IS – International Signs

NAD - National Association of the Deaf

NCIEC -National Consortium of Interpreter Education Centers

OFQUAL-The Office of Qualifications and Examinations Regulation

RID - Registry of Interpreters for the Deaf

VRS – Video Relay Services)

WASLI - World Association of Sign Language Interpreters

WFD – World Federation of Deaf

საქართველოში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და პროფესიის განვითარების გზამკვლევი

I ნაწილი - სიტუაციური ანალიზი

საქართველოში ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების ლეგალური საფუძვლები

დღესდღეობით საქართველოში განსაკუთრებულად დგას დღის წესრიგში ქესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და ქესტური ენის თარჯიმნის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის, განვითარების საკითხი.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია (2006), რომელიც საქართველოში ძალაში 2014 წელს შევიდა, სხვა საკითხებს შორის აცხადებს პროფესიული ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლებას. კონვენციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი განმარტავს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ენიჭებათ მათი განსაკუთრებული კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობის, მათ შორის ქესტების ენისა და ყრუთა კულტურის აღიარებისა და მხარდაჭერის თანაბარი უფლება.“ აღნიშნული მუხლი მნიშვნელოვანია ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის, რადგან ქესტური ენის განვითარება და ქესტური ენის თარჯიმნების მომსახურების განვითარება, მათი კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

კონვენციის მე-9 მუხლი ეხება მისაწვდომობას, რაც უმნიშვნელოვანესია ადამიანის საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბებისთვის. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, კონვენციის მოთხოვნის შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. ასევე, უნდა იმოქმედონ აქტიურად, იმისთვის რომ მოხდეს, ამ მიმართულებით არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა-აღმოფხვრა.“ კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია, ქვეყანაში განვითარდეს ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურება.

რაც შეეხება ადგილობრივ კანონმდებლობას, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების ენად გამოიყენება ქართული ქესტური ენა და ბილინგვური სწავლების პრინციპები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც განათლებას მხოლოდ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ, სავალდებულოა ქართული ქესტური ენის ან/და ბილინგვური სწავლების პრინციპების გამოყენება“ (მუხლი, 5), რაც თავის მხრივ ან ქესტური ენის მცოდნე მასწავლებლებს ან/და ქესტური ენის თარჯიმნების კვალიფიციურ რესურსს მოითხოვს. „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“¹ თანახმად, ქვესტური ენის თარჯიმანი განიხილება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ჯგუფის ნაწილად, რომელიც ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას და სმენის დარღვევის მქონე/ქვესტური ენის მომხმარებელ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის უზრუნველყოფს ქართული ენიდან ქართულ ქვესტურ ენაზე და პირიქით, ქართული ქვესტური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანს (მუხლი 2.).

საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ (2009), იცავს როგორც ბრალდებულის, ასევე მოწმის უფლებას გამოკითხვა/დაკითხვის დროს მიიღოს ქვესტური ენის თარჯიმნის მომსახურება, რომელიც სახელმწიფოს მიერ იქნება ანაზღაურებული².

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ“, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო აღიარებს ქართულ ქვესტურ ენას და ცნობს ქართულ ქვესტურ ენას როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის, ასევე ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის განათლების მიღების ერთ-ერთ საშუალებას და უზრუნველყოფს მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას³. ამავე კანონის თანახმად, ქვეყანაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს „სურდოთარჯიმანთა“ (იგივე ქვესტური ენის თარჯიმნების) სერტიფიცირების პროგრამა.⁴

ქვესტური ენის მომხმარებელთა უფლებების აღიარებამ და აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებამ, ამასთანავე, უკანასკნელ წლებში, საქართველოში ქვესტური ენის თარჯიმნებზე მნიშვნელოვნად გაზრდილმა მოთხოვნილებამ, არამარტო შრომის ბაზარზე უფრო მეტი თარჯიმნის არსებობის საჭიროება წარმოშვა, არამედ, პროფესიის შემდგომი განვითარების, ქვესტური ენის თარჯიმნის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური ქვესტური ენის თარჯიმნების არსებობის აუცილებლობაც გააჩინა.

ქვესტური ენები და ქვესტური ენის თარჯიმნის საქმიანობა

ქვესტური ენები

ქვესტური ენები სისტემური და წესებზე დაფუძნებული ბუნებრივი ენებია, ისეთივე რთული ქესტების ლექსიკითა და გრამატიკული სტრუქტურით, როგორც სალაპარაკო ენებს აქვთ.

¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანება

² მუხლი 49, მუხლი 53, მუხლი 117

³ მუხლი 14., პუნქტი 3.

⁴ მუხლი 27, პუნქტი 6.

ქესტური ენები გაჩნდა ყრუ ადამიანებს შორის ბუნებრივი კომუნიკაციის პროცესში. მიუხედავად გავრცელებული მითისა, რომ ქესტური ენა უნივერსალურია, ეროვნული ქესტური ენები განვითარდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ხშირად, სხვა ქესტურ ენებთან მინიმალურ კონტაქტში. 1980-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ქესტური ენების ლინგვისტური კვლევები განხორციელდა, მეცნიერების მიერ ქესტურ ენას ისეთივე ბუნებრივი ენის სტატუსი მიენიჭა, როგორიც სალაპარაკო ენებს აქვთ.

თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი ეროვნული ქესტური ენა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, ერთზე მეტი ქესტური ენა ფუნქციონირებს. ცალკეული ქვეყნის ქესტური ენა ლექსიკით და სინტაქსით განსხვავდება იგივე გეოგრაფიული ტერიტორიის სასაუბრო ენებისგან.

ქესტური ენები ასრულებენ სალაპარაკო ენების მსგავს ფუნქციებს, როგორიცაა კომუნიკაცია, სოციალური ურთიერთობების დამყარება, კულტურული თვითმყოფადობის გამოხატვა. თავად ქესტური ენის მომხმარებლები კულტურულ და ენობრივ უმცირესობას წარმოადგენენ. ბევრი პრელინგვი ყრუ და სმენადაქვეითებული იმ ადამიანისთვის, რომლებიც ყრუთა ოჯახებში იზრდებიან, ქესტური ენა არის პირველი ან უპირატესი ენა. ზოგიერთი ყრუ ან სმენადაქვეითებული ადამიანი, რომლისთვისაც პირველი ან უპირატესი ენა სალაპარაკო ენაა, შესაძლოა იყენებდეს ქესტურ ენას კომუნიკაციის გასაადვილებლად.

1988 და 1998 წლებში, ევროპარლამენტმა მიიღო ორი რეზოლუცია ქესტური ენების სტატუსის შესახებ, ხოლო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ქესტური ენების დაცვას წევრ ქვეყნებში⁵ ამგვარი საყოველთაო აღიარების შედეგად, სხვადასხვა სახელმწიფომ განახორციელა თავიანთი ტერიტორიების ქესტური ენების სამართლებრივი აღიარების გარკვეული ფორმა, ზოგიერთს აქვს კონსტიტუციური აღიარება (მაგ.: ავსტრია, 2005, ჩეხეთი, 1988, ფინეთი 1995, პორტუგალია, 1997, სლოვაკეთის რესპუბლიკა 1995), სხვებმა კი ქესტური ენები სხვა სამართლებრივი გზებით აღიარეს⁶.

ქესტური ენის ინტერპრეტატორის/თარჯიმნის საქმიანობა/მომსახურება

ქესტური ენით მოსარგებლე ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები სმენის მქონე უმრავლესობასთან კომუნიკაციის დასამყარებლად და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ეფექტური მონაწილეობისთვის, საჭიროებენ ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურებას. ქესტური ენის თარჯიმანს გადაჰყავს „სალაპარაკო ან ქესტური ენის საწყისი ენობრივი შეტყობინება სამიზნე სალაპარაკო ან ქესტურ ენაზე“⁷.

ინგლისურენოვან კონტექსტში და არამარტო (მაგ.: საფრანგეთშიც, იტალიაშიც და ა.შ.) როდესაც სალაპარაკო და ქესტურ ენებს შორის კომუნიკაციურ შუამავალზეა (თარჯიმანზე) საუბარი, ძირითადად ტერმინი ქესტური ენის *ინტერპრეტატორი* გამოიყენება. საქართველოს

⁵ Leeson 2004

⁶ Maya de Wit, 2020

⁷ International Organization for Standardization, 2014, p. 1.

და წინამდებარე დოკუმენტის კონტექსტში, ტერმინი *ქართული ქესტური ენის თარჯიმანი* გამოყენებულია ქესტური ენის ინტერპრეტატორის ეკვივალენტად და ყველა იმ ფუნქციასა და საქმიანობას მოიაზრებს, რომელიც ქესტური ენის ინტერპრეტატორისთვის არის განსაზღვრული. გამონაკლისს წარმოადგენს სალაპარაკო და ქესტური ენის ისეთ სისტემებს შორის თარგმნა, რომლის ანალოგიც ქართულ ენაში არ არსებობს, თუმცა ამერიკულ და ზოგიერთი ქვეყნის ქესტურ ენაში გამოიყენება. მაგალითისთვის ასეთია თარგმნა სალაპარაკო ინგლისურსა და მანუალურად კოდირებულ ინგლისურს შორის (Manually Coded English), სალაპარაკო ინგლისურსა და კონტაქტურ ქესტებს შორის (Contact Signing (Pidgin Signed English [PSE] or English-like signing), სალაპარაკო ინგლისურსა და Cued American English (მინიშნებული მეტყველება) შორის.

ქესტური ენის თარგმნის სფეროში, თარჯიმანი მუშაობს არა მხოლოდ ორ ან მეტ ენას შორის, არამედ ენის განსხვავებულ ფორმებს შორისაც. ქესტური ენის ინტერპრეტატორის საქმიანობა თარგმნასაც მოიცავს - ტექსტის ბეჭდური ფორმიდან ქესტურ ენაზე მუშაობა, რასაც ვიზუალურ თარგმნასაც უწოდებენ. მაგალითად, ქესტური ენის ინტერპრეტატორს შეიძლება მოუწიოს ყრუ მომხმარებლისთვის ექიმის კაბინეტში მიღების დოკუმენტის თარგმნა. ზოგიერთი ინტერპრეტატორი ყრუ-უსინათლო ადამიანებისთვის ტაქტილურ თარგმანშია სპეციალიზებული.

ქესტური ენის ინტერპრეტატორის საქმიანობა ორივე, სალაპარაკო და ქესტურ ენაში სათანადო ლინგვისტურ ცოდნას მოითხოვს; ამასთანავე, მას სხვა სპეციფიკური ტექნიკური უნარ-ჩვევებიც მოეთხოვება, საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის.

ქესტური ენის თარჯიმანმა კარგად უნდა გაიცნოს და გაიგოს ის თემა, რომელიც მოსაუბრეებმა უნდა განიხილონ - წინასწარ მოამზადოს თემასთან დაკავშირებული სიტყვები, ფრაზები, ტერმინები და შეძლოს ინფორმაციის სიზუსტით გადაცემა ადრესატისთვის. ამასთანავე, თარჯიმანს კარგად უნდა ჰქონდეს განვითარებული მოსმენის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევა, მეხსიერების და ანალიტიკური უნარი.

თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ თარჯიმანი არ მონაწილეობდეს საუბრის პროცესში, როგორც კომუნიკაციური პარტნიორი, არამედ მხოლოდ გადასცემდეს საუბრის მონაწილეებს ერთმანეთის ნათქვამს მაქსიმალური სიზუსტით. ამასთანავე, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს კონფიდენციალობის საკითხს. თარჯიმანს უნდა ესმოდეს, რომ ორ ან მეტ ადამიანის შორის საუბარი მკაცრად კონფიდენციალურია და დაუშვებელია მიღებული ინფორმაციის გასაჯაროება.

არსებობს ქესტურენოვანი თარგმნის ორი ტიპი: სიმულტანური და თანმიმდევრული. სიმულტანური თარგმნის დროს თარჯიმანი უსმენს ან უყურებს მოსაუბრეს და იმავდროულად თარგმნის. ამისგან განსხვავებით, თანმიმდევრული თარგმნა გულისხმობს მას შემდეგ თარგმნას, რაც მოსაუბრემ დაასრულა წინადადება ან პარაგრაფი. ინტერპრეტატორს შესაძლოა, ჩანაწერების გაკეთებაც დასჭირდეს. ამ ტიპის თარგმნა ძირითადად შეიძლება

გამოყენებულ იქნას მოწმის ჩვენებისას იურიდიულ გარემოში ან ექიმთან ან სოციალურ მუშაკთან ერთი-ერთზე შეხვედრისას. ორივე ტიპის თარგმნისას, მაღალი დონის კონცენტრაციაა საჭირო და სწორედ ამიტომ, თარგმნები ხშირად წყვილში მუშაობენ და ყოველ 20-30 წთ-ში ენაცვლებიან ერთმანეთს. ქესტური ენის თარგმნის ფიზიკური დასწრება აუცილებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვიდეო კონფერენცია და ვიდეო ზარი ხორციელდება.

ქესტური ენების თარგმნებს სხვადასხვა გარემოში ინდივიდების მრავალფეროვან ჯგუფებთან მუშაობის მრავალი შესაძლებლობა აქვთ. ქესტური ენის თარგმნების სამუშაო არეალი შესაძლებელია დაიყოს სამ მსხვილ სფეროდ, რომელთაგან თითოეული უამრავი მიმართულებებისაგან შედგება. ეს სფეროებია:

საგანმანათლებლო სფერო - ამ სფეროს შემადგენლობაში შედის სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე თარგმნების სამუშაო განრიგი იქ მომუშავე სხვა პერსონალის სამუშაო განრიგის მსგავსია. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში თარგმნის, როგორც წესი, ერთ ან ორ მოსწავლესთან/სტუდენტთან მუშაობს. ამ სფეროში მომუშავე თარგმნის უშუალო ვალდებულება საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ენის/ტერმინების ცოდნაა.

საზოგადოებრივი სფერო - აღნიშნული სფერო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სფეროა, სადაც ქესტური ენის თარგმნის ეხმარება ყრუ პირებს მოახდინონ საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია და ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა საზოგადოებრივ სერვისზე. აღნიშნული სფერო მოიცავს სამედიცინო, სამართლებრივ, საბანკო, საოფისე, კულტურულ, რელიგიურ გარემოს და სხვა სფეროებს, რომლებთანაც ადამიანს შეხება აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში. აღნიშნულ სფეროებში მომუშავე თარგმნებს შესაძლოა არაერთგვაროვანი სამუშაო განრიგი ჰქონდეთ, რაც განსაკუთრებულ მოქნილობას მოითხოვს.

ვიდეო გადაცემის სერვისი/მომსახურება (VRS – Video Relay Services) - აღნიშნული მომსახურება გულისხმობს დისტანციური კომუნიკაციის დამყარებას ადამიანებს შორის. ასეთ დროს ყრუ ადამიანი ე.წ. ვიდეო ტელეფონის გამოყენებით უკავშირდება სხვა პირს. ასეთი სატელეფონო ზარის მიზეზი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა, როგორცაა მაგალითად გადაუდებელი დახმარება საგანგებო სიტუაციებისას (პოლიცია, ხანძარი), სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება, ექიმის კონსულტაციის მიღება, სამუშაო ან სხვა განაცხადის შესახებ ინფორმაციის მიღება, ბანკში სხვადასხვა მოთხოვნის დაფიქსირება და სხვა. აღნიშნული სერვისის მიწოდებისას თარგმნის ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას კვირაში შვიდი დღე ოცდაათი საათის განმავლობაში.

ზოგიერთ გარემოში მუშაობა, სპეციალიზებულ უნარ-ჩვევებს, სპეციფიკურ ტრენინგს და გამოცდილებას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით ეხება საგანმანათლებლო, სამედიცინო და იურიდიულ სფეროში მომუშავე თარჯიმნებს. შესაძლოა, ყველა თარჯიმანი სრულად არ იყოს სპეციალიზებული რომელიმე კონკრეტულ სფეროში, ხოლო თარჯიმნების გარკვეულ ნაწილს კონკრეტულ სფეროში მუშაობის ექსპერტიზა გააჩნდეს.

საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორი

იმის გათვალისწინებით, რომ სულ უფრო მეტად იზრდება საერთაშორისო დონეზე ყრუ ადამიანების ჩართულობა, რომელებიც სმენის მქონე კოლეგების მსგავსად საჭიროებენ სხვადასხვა პროცედურაზე ხელმისაწვდომობას, უკანასკნელ წლებში გაიზარდა საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორების (თარჯიმნის) საჭიროებაც. საერთაშორისო ქესტების თარჯიმნებს შეუძლიათ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისას, ყრუ ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან (რომლებიც განსხვავებულ ეროვნულ ქესტურ ენას ფლობენ), უზრუნველყონ არასტანდარტიზებული საკონტაქტო ენით (საერთაშორისო ქესტებით, IS), რომლის გაგებაც შეეძლებათ დელეგატებს მთელი რიგი ქვეყნიებიდან.

საერთაშორისო ქესტი, ქესტური ენისგან განსხვავებით, წარმოადგენს საკონტაქტო, საკომუნიკაციო ქესტს, რომელიც შეიქმნა იმ ყრუ ადამიანებში კომუნიკაციის მიზნით, რომელთაც არ ჰქონდათ საზიარო ეროვნული ქესტური ენა ანუ სხვადასხვა ეროვნული ქესტური ენით სარგებლობდნენ. ყრუ ადამიანების მიერ საერთაშორისო ქესტური კომუნიკაციის გამოყენება ევროპაში XIX საუკუნიდან იღებს დასაბამს. დღეს, საერთაშორისო ქესტები უფრო სტანდარტიზებული გახდა როდესაც ფორმალურ კონტექსტში გამოიყენება საერთაშორისო შეხვედრებისა და ღონისძიებების დროს. უმეტეს შემთხვევაში, IS ინტერპრეტატორი ინტერპრეტაციას ახდენს ინგლისურსა და საერთაშორისო ქესტს შორის, თუმცა, იმ შეხვედრებზე სადაც ადგილი აქვს სიმულტანურ სალაპარაკო ენის ინტერპრეტაციას, IS ინტერპრეტაცია შეიძლება ხდებოდეს საერთაშორისო ქესტსა და სხვა სასაუბრო ენას შორის, ხოლო, როდესაც პრეზენტაცია რომელიმე ეროვნულ ქესტურ ენაზე კეთდება, IS ინტერპრეტატორი შეიძლება ინტერპრეტაციას ახდენდეს პირდაპირ იმ ქესტური ენიდან საერთაშორისო ქესტზე. IS ინტერპრეტატორი შეიძლება იყოს ყრუ ან სმენის მქონე ადამიანი. როდესაც IS ინტერპრეტატორი ყრუა, მას ხშირად ჰყავს სმენის მქონე ინტერპრეტატორი „წყარო“, რომელიც მუშაობს საკუთარ ეროვნულ ქესტურ ენაზე.

ყრუთა მსოფლიო ფედერაციას (WFD) და ქესტური ენის თარჯიმანთა მსოფლიო ასოციაციას (WASLI) შემუშავებული აქვთ საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორის (თარჯიმნის) აღიარების შუალედური პოლიტიკის დოკუმენტი და გზამკვლევი⁸. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია შუალედური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ყრუთა მსოფლიო ფედერაციას (WFD) და ქესტური ენის ინტერპრეტატორების მსოფლიო ასოციაციას (WASLI)

⁸ DRAFT - Policy IS interpreters.docx (netdna-ssl.com)

უზრუნველყონ სხვადასხვა ქვეყნის ქესტური ენის თარჯიმნების აღიარება საერთაშორისო დონის შეხვედრებზე მუშაობისთვის. დოკუმენტში გაწერილია საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორის (თარჯიმნის) ის უნარები და ცოდნის კრიტერიუმები, რაც აუცილებელია მათი სამუშაოს შესასრულებლად. ქესტური ენის თარჯიმნის სხვა კომპეტენციებთან ერთად, დოკუმენტით განსაზღვრულია საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორის სავალდებულო ენობრივი უნარებიც როგორიცაა: საერთაშორისო ქესტები (ხატოვანი ლექსიკონის, სინტაქსური სივრცის, არამანუალური გრამატიკული მახასიათებლების და სხვა გამოყენება), ინგლისური, სულ მცირე ორი (და სასურველია მეტი) სალაპარაკო/წერილობითი ენა და სულ მცირე ორი (სასურველია მეტი) ქესტური ენა.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ სფეროში მუშაობს ქესტური ენის თარჯიმანი, მისი მომსახურების ხარისხის კონტროლი აქტუალური და ხშირი დისკუსიის თემაა ყრუ ადამიანთა და თარჯიმნების თემებში. ყრუ მომხმარებელი უნდა იყოს გარანტირებული, რომ ის მიიღებს სათანადო და ხარისხიან თარგმანს განსხვავებულ სიტუაციაში და სხვადასხვა თარჯიმნის პირობაში. თარჯიმნის ქცევა და მოქმედება საიმედო და საკმარისად სტანდარტული უნდა იყოს მომხმარებლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურება ევროპაში

1988 წელს ევროპარლამენტმა ხაზი გაუსვა ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიად აღიარების მნიშვნელობას და თითოეულ წევრ ქვეყანაში ყრუთა ეროვნული ასოციაციების პასუხისმგებლობის ქვეშ ქესტურ ენაზე თარჯიმნის სრული დატვირთვის ტრენინგისა და დასაქმების პროგრამების დამკვიდრებას.

ევროპარლამენტის 2016 წლის 23 ნოემბრის რეზოლუცია ქესტური ენისა და ქესტური ენის პროფესიონალი თარჯიმნების შესახებ (2016/2952 (RSP)) (2018/C224/09), ხაზს უსვამს კვალიფიციური და პროფესიონალი ქესტური ენის თარჯიმნების საჭიროებას, რაც მხოლოდ შემდეგი მიდგომის საფუძველზე შეიძლება დაკმაყოფილდეს:

ა) ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინსტიტუტებში ქესტური ენის/ენების ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე ოფიციალურად აღიარება;

ბ) ფორმალური ტრენინგი (საუნივერსიტეტო დონეზე ან მასთან გათანაბრებული, 3 წლიანი სრული დატვირთვით სწავლა, რომელიც სალაპარაკო ენის თარჯიმნის მომზადების ექვივალენტურია).

გ) რეგისტრაცია (ოფიციალური აკრედიტაციისა და ხარისხის კონტროლის სისტემა, როგორიცაა მუდმივი პროფესიული განვითარება).

დ) პროფესიის ფორმალური აღიარება;

ამასთანავე, ამავე რეზოლუციის თანახმად, მაღალკვალიფიციური ჟესტური ენის თარგმნის მომსახურების მიწოდება:

(ა) დამოკიდებულია ხარისხის ობიექტურ შეფასებაზე, რომელშიც მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე;

(ბ) ემყარება პროფესიულ კვალიფიკაციას;

გ) მოიცავს ყრუთა თემის/საზოგადოების ექსპერტ-წარმომადგენლების ჩართულობას;

დ) დამოკიდებულია ჟესტური ენის თარგმნების მომზადებისა და დასაქმებისთვის სათანადო რესურსების არსებობაზე.

რეზოლუცია ასევე ხაზს უსვამს, რომ ჟესტურ ენაზე თარგმნა წარმოადგენს პროფესიულ მომსახურებას, რომელიც მოითხოვს სათანადო ანაზღაურებას;

„ევროპაში ჟესტური ენის პოპულარიზების და დაცვის შესახებ“ რეზოლუცია ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ 2018 წელს მიიღო, რომელითაც მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის:

- აღიარონ ჟესტური ენები ოფიციალურ ენებად კონკრეტული კანონის საშუალებით;
- უზრუნველყონ საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყონ ინკლუზიური განათლება;
- ხელი შეუწყონ ჟესტური ენის თარგმნების გადამზადებას, ტრენინგსა და დაქირავებას;
- ხელი შეუწყონ კულტურული პროგრამების შექმნას, სატელევიზიო მაუწყებლობას და სატელევიზიო პროგრამებს ჟესტურენოვანი თარგმანით;
- ხელი შეუწყონ ჟესტური ენის სწავლებას საზოგადოების ფართო ფენებისათვის;

„ჟესტურ ენაზე თარგმნობა ევროპაში“⁹ ანგარიშის თანახმად, რომელიც ეფუძნება გამოკითხვას ევროკავშირის წევრ და რამდენიმე არაწევრ ქვეყანაში (სულ 45 ქვეყანა), უკანასკნელ წლებში ევროპაში ჟესტური ენის თარგმნობის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. გაიზარდა ჟესტური ენის თარგმნებისთვის სასწავლო/სატრენინგო პროგრამებიც. განსაკუთრებული ფოკუსი ევროპის ქვეყნებში ხარისხის კონტროლზეა მიმართული, მაგალითად სარეგისტრაციო ორგანოების და რეესტრის შექმნის გზით, რომლებიც აკონტროლებენ თარგმნის კვალიფიკაციას. სხვადასხვა აქტივობების საშუალებით ხდება თარგმნების პროფესიული უნარების განვითარება. მომავალი თარგმანი სტუდენტებისთვის ხორციელდება მენტორობა და პროფესიონალი თარგმნების ჩართვა მოწინავე (მაგ.: საბაკალავრო დონე), მათთან ასოცირებულ კურსებში ან სამაგისტრო პროგრამებში. საერთო ჯამში, მუდმივი პროფესიული განვითარება განიხილება,

⁹ Maya de Wit, 2020

როგორც ინდივიდუალური თარჯიმნის და მთლიანად პროფესიის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ანგარიშის თანახმად, მთავრობებმა ხელი უნდა შეუწყონ ქესტური ენის თარჯიმნებისთვის პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფას და თარჯიმნების სპეციალიზაციას, მაგალითად, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და სამართლებრივ გარემოში. გარდა ამისა, რელევანტური ანაზღაურება აუცილებელია ბაზარზე არსებული ამჟამინდელი კვალიფიციური თარჯიმნების შესანარჩუნებლად და სხვების მოსაზიდად. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მრავალი ქვეყანა ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ქესტური ენით მოსარგებლეებს უკეთესი წვდომა ჰქონდეთ ქესტური ენის თარჯიმნის სერვისებზე. თუმცა, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ღონისძიებაა განსახორციელებელი აღნიშნული მიმართულებით.

აღნიშნული ანგარიშის თანახმად, ევროპის უმეტეს ქვეყანაში არსებობს ქესტური ენის თარჯიმნების ორგანიზაციები, რომელთა დაფუძნებაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ქვეყანაში ქესტური ენის თარჯიმნების კვალიფიკაციის განვითარების საკითხში. ევროპაში ქესტური ენის თარჯიმნების პირველი ორგანიზაცია 1969 წელს შეედეტში დაფუძნდა. ზოგიერთ ქვეყანაში, რამდენიმე ეროვნული ორგანიზაციაა, რაც ძირითადად ამ ქვეყნებში ოფიციალური სალაპარაკო ენების სიმრავლით და გეოგრაფიული ადგილმდებარეობით არის განპირობებული (მაგ.: შვეიცარია, ბელგია). 2020 წლის მონაცემებით, ევროპის იმ მცირე ქვეყნების რიცხვში, რომელთაც არ აქვს ქესტური ენის თარჯიმნების ეროვნული ასოციაციები, შედის საქართველოც.

ქესტური ენის პროფესიის და მომსახურების განვითარება, პროფესიული ასოციაციების არსებობასთან ერთად, დიდწილად ეფუძნება მის უშუალო მომხმარებელთან, ყრუთა თემთან, თანამშრომლობას, რათა პროფესიამ მოახდინოს ახალ გამოწვევებზე სწრაფი და ქმედითი რეაგირება. ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარება ცოცხალი პროცესია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ყრუთა თემის საჭიროებების ცვლილებასა და თვითონ ქესტური ენის განვითარებასთან. ამ მხრივ, საინტერესოა იმ ქვეყნებში განვითარებული მოვლენები, რომლებიც ქესტური ენის თარჯიმნების სერვისის განვითარების თვალსაზრისით სამოდელო ქვეყნებს წარმოადგენდნენ (მაგ.: ფინეთი, ნორვეგია), მაგრამ სტრუქტურები, რომლებიც პასუხიძეგებელი იყვნენ ქესტური ენის თარჯიმნის სერვისის ხარისხზე, თავისი საქმიანობის დროს არ ახორციელებდნენ კონსულტაციებს სერვისის მომხმარებლებთან (ყრუ ადამიანებთან) და სფეროში სხვა ექსპერტებთან/პროფესიონალებთან. წლების განმავლობაში ამან გამოიწვია ქესტური ენის თარჯიმნის და თარგმნის პროცესის განვითარების შეფერხება. ყრუ ადამიანების განათლების ხარისხი ბევრად მაღულობდა, რაც იწვევდა თარგმნის პროცესში სპეციფიურ საჭიროებებს. ზემოაღნიშნული გამოწვევების დასაძლევადა და ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აღნიშნულ ქვეყნებში მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა ეროვნულ ყრუთა თემთან.

ქესტური ენის თარჯიმნების მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას ქესტური ენის კვლევების, ქესტური ენის თარჯიმნების მომზადებისა და პროფესიის განვითარებაში და შეიძლება ითქვას, რომ ქესტური ენის თარჯიმნების მომზადების და რეგისტრირების ერთ-ერთ საუკეთესო მოდელს ფლობს, რომელსაც ბევრი სხვა, მათ შორის ევროპის ქვეყანა ეფუძნება. სწორედ აშშ-ის კონტექსტში მზადდება ყველაზე მეტი კვლევა ქესტური ენის თარჯიმნის მიმართულებითაც.

ამერიკაში ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიად აღიარების პროცესი 1960-იან და 1970-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა რასაც თან ერუთა თარჯიმნების რეესტრის (Registry of Interpreters for the Deaf, RID) დაფუძნება მოჰყვა (1964 წ.) 1972 წლიდან RID მოქმედებს როგორც ეროვნული პროფესიული ორგანიზაცია აშშ ქესტური ენის თარჯიმნებისთვის. RID წარმოადგენს თარჯიმნების ეროვნული კავშირის არასამთავრობო ორგანიზაციას და სამ ძირითად სერვისს სთავაზობს როგორც მის წევრებს, ასევე, ზოგადად თარჯიმნების თემს: 1. ტესტირების პროგრამა, რომელიც ახორციელებს თარჯიმნებისთვის საგამოცდო ტესტებს და უზრუნველყოფს სერტიფიკატებს იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ ტესტებს ჩააბარებს; აღსანიშნავია, რომ RID ასევე ყრუ თარჯიმნების სერტიფიცირებას მოიცავს. 2. სერტიფიკაციის ტექნიკური უზრუნველყოფის პროგრამა, რაც უზრუნველყოფს თარჯიმნების პროფესიული უნარების და პრაქტიკის შენარჩუნებას; 3. ეთიკური პრაქტიკის სისტემა, რომელიც ახორციელებს საჩივრების განხილვის პროცესს RID ეთიკის კოდექსის საფუძველზე. ამასთანავე, RID-ს აქვს საკუთარი პუბლიკაციების განშტოება, რომლის ფარგლებშიც, ქესტურ ენასა და თარგმანთან დაკავშირებულ წიგნებთან ერთად, იქმნება ქესტური ენის თარჯიმნობაზე ყოველწლიური ჟურნალიც.

ისტორიულად, აშშ-ში არსებობდა სერტიფიცირების ორი სისტემა - ერთი RID-ის მიერ და მეორე ყრუთა ეროვნული ასოციაციის მიერ (National Association of the Deaf, NAD). 2002 წელს ამ ორ ორგანიზაციას შორის ფორმალური თანამშრომლობა გამოცხადდა. ამჟამად, NAD და RID-ის ერთობლივი სისტემის საშუალებით, მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიკატი. ამ ორი ორგანიზაციის მიერ, 2003 წელს ერთობლივად შემუშავდა ქესტური ენის თარჯიმნების ეთიკის კოდექსი.

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები წამყვან ქვეყანას წარმოადგენს არის ქესტური ენის თარჯიმნების ლიცენზიის და სერტიფიცირების შენარჩუნების სისტემა. RID-ის სერტიფიკაცია მოქმედებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. იმისათვის, რომ თარჯიმნები ლიცენზირებული დარჩნენ, მათ უნდა შეაგროვონ უწყვეტი პროფესიული განვითარების მტკიცებულებები და ეს მტკიცებულებები წარადგინონ 4 წელიწადში ერთხელ. ქულები გამოიყოფა ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობისთვის, მაგალითად, ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საგნების ოფიციალური შესწავლა, სემინარებზე დასწრება და კონფერენციებში მონაწილეობა. თარჯიმნებმა სერტიფიკატის

შესანარჩუნებლად უნდა მიიღონ ქულების გარკვეული რაოდენობა. აღნიშნული, ეფექტური გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა პრაქტიკოსმა თარჯიმანმა უწყვეტად განაახლოს ცოდნა და გააგრძელოს რეფლექსური პროფესიული პრაქტიკა. სალიცენზიო სისტემა უზრუნველყოფს, რომ მათ, ვინც ინარჩუნებს პროფესიისადმი ერთგულებას, შეუძლია გააგრძელოს პრაქტიკა, მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნებით.

ამასთანავე, აშშ-ში 1979 წლიდან მოქმედებს ტრენერი ინტერპრეტატორების კონფერენცია (Conference of Interpreter Trainers - CIT), რომელიც წარმოადგენს თარჯიმნების მასწავლებლების პროფესიულ ორგანიზაციას და თარჯიმნების მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს; CIT ასევე ახორციელებს სფეროს კვლევებს. ნაწილობრივ CIT ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფას თარჯიმნების განათლებაში და ჯერ კიდევ 1995 წელს დაამოწმა თარჯიმნის განათლების ეროვნული სტანდარტები, სადაც მოცემულია ძირითადი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც თარჯიმნებმა უნდა განივითარონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით.

აშშ-ში საკმაოდ მრავალფეროვანი შესაძლებლობები არსებობს ჟესტური ენის თარჯიმნის კვალიფიკაციის მისაღებად. უკვე 2004 წელს, თარჯიმნის სასწავლო კურსები არსებობდა სხვადასხვა დონეზე; აღნიშნული კურსების ფართო სპექტრი შეთავაზებული იყო ამერიკულ საზოგადოებრივ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. ამ პერიოდისთვის მთელს შეერთებულ შტატებში დაახლოებით 150 თარჯიმნის სასწავლო პროგრამა მოქმედებდა, მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

2006 წელს აშშ-ში დაფუძნდა კოლეგიური თარჯიმნის განათლების კომისია (The Commission on Collegiate Interpreter Education (CCIE)) იმისათვის, რომ აკრედიტაციის პროცესის საშუალებით ხელი შეეწყოს პროფესიონალიზმისთვის ჟესტურ ენაზე თარჯიმნის განათლების სფეროში. CCIE დაფუძნდა ექვსი დაინტერესებული ორგანიზაციის¹⁰ ერთობლივი ძალისხმევით შედეგად. 2008 წელს CCIE გახდა სპეციალიზებული და პროფესიული აკრედიტაციის ასოციაციის (Association of Specialized and Professional Accreditors (ASPA) წევრი. ამრიგად აშშ-ში შემუშავებული და მიღებულია ჟესტური ენის თარჯიმნების ეროვნული სტანდარტები და აკრედიტაციის სისტემა. 2018 წლისთვის, აშშ-ში სულ მცირე 13 საბაკალავრო პროგრამა და ხუთი მასთან ასოცირებული ხარისხის მქონე პროგრამა იყო აკრედიტირებული. აღნიშნული აკრედიტირებული პროგრამები მხოლოდ 10%-ია იმ 140-ზე მეტი პროგრამისა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით არსებობს აშშ-ში. ამასთან, ინტერპრეტატორის ზოგადი კვალიფიკაცია არ გულისხმობს ყველა სიტუაციაში ინტერპრეტატორის კვალიფიკაციას. სპეციალიზებული სასერტიფიკატო და სადიპლომო პროგრამები ამერიკული ჟესტური ენის თარგმანში ხელმისაწვდომია სათემო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.

¹⁰ The National Alliance of Black Interpreters, Inc., National Registry of Interpreters for the Deaf, National Association of the Deaf, Conference of Interpreter Trainers, Association of Visual Language Interpreters of Canada and the American Sign Language Teachers Association.

შემდგომი განათლება, სტაჟირება და მოხალისეობრივი მუშაობა პროფესიული უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების გზებია.

დღესდღეობით, აშშ-ში დაინტერესებულ პირს, იმისათვის, რომ ქესტური ენის თარჯიმანი გახდეს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს ამერიკული ქესტური ენის თარჯიმნის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. ბაკალავრის ხარისხთან ერთად დამატებით, პროფესიული კომპეტენციის დემონსტრირებისთვის, თარჯიმანს შეიძლება ჰქონდეს სერტიფიკატიც. ყრუთა თარჯიმნების რეესტრის (RID) სერტიფიკატი არის ამერიკულ ქესტურ ენაში თარჯიმნის კომპეტენციის დემონსტრირების ერთ-ერთი წამყვანი საშუალება. RID-ს შემუშავებული აქვს გამოცდის ჩაბარების უფლების მოპოვების და საგანმანათლებლო ეკვივალენტობის დადგენის პირობები.

RID-ს გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა ამერიკულ ქესტურ ენაში თარჯიმნის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს; თუმცა, მათთვის, ვინც არ ფლობს ბაკალავრის ხარისხს, ალტერნატიული გზაა შემუშავებული, რომელიც შედგება განათლების ეკვივალენტობის განაცხადისგან (Educational Equivalency Application, EEA) და რომელიც იყენებს ქულების სისტემას კოლეჯის კურსებისთვის, თარჯიმნობის გამოცდილებისთვის (სამუშაო წლები) და პროფესიული განვითარებისთვის (მაგ.: თარჯიმნობასთან დაკავშირებულ ტრენინგები) კრედიტების მისანიჭებლად. განათლების ეკვივალენტობის განაცხადი, ზომავს კვალიფიკაციების კომბინაციას, რომლებიც ერთობლივად შეიძლება აკმაყოფილებდეს RID-ს გამოცდის ჩაბარების უფლების მოსაპოვებელ მოთხოვნებს.

შესაძლებელია, რომ კანდიდატმა შეძლოს გამოცდილების მინიმალური რაოდენობის დაკმაყოფილება კრედიტების მხოლოდ ერთ კატეგორიაში. მაგალითად, კანდიდატი, რომელსაც აქვს კოლეჯის კრედიტების 120 საათზე მეტი, მაგრამ ოფიციალურად არ მიუღია დიპლომი, ჩაითვლება, რომ ფლობს ბაკალავრის ხარისხის ეკვივალენტს მხოლოდ მისი კოლეჯის გამოცდილების საფუძველზე. გარდა ამისა, ვისაც აქვს თარჯიმნის 4 წლიანი გამოცდილება სრულ განაკვეთზე, RID-ის საგანმანათლებლო მოთხოვნის მიზნებისათვის აკმაყოფილებს ასოცირებული ხარისხის საგანმანათლებლო ეკვივალენტობას. თარჯიმნის გამოცდილების გამოთვლის მიზნით, მხედველობაში მიიღება მუშაობის წლები. თარჯიმნად მუშაობის ყოველი წლისთვის, განისაზღვრება მუშაობდა თარჯიმანი ერთ თუ რამდენიმე დამსაქმებელთან და მუშაობდა ნახევარ თუ სრულ განაკვეთზე.

ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიონალიზაცია აშშ-ში

ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიონალიზაციის პროცესმა თავისი საწყისი აშშ-ში 1963 წელს აიღო თარჯიმნობის თემაზე ჩატარებული სემინარის ფარგლებში, რომელიც შემდეგ მიზნებს ატარებდა: (1) იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომელშიც ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს სჭირდებოდათ თარჯიმნის მომსახურება, (2) თარჯიმნებისთვის სატრენინგო

პროგრამის შეთავაზება, (3) თარჯიმნებისთვის სასწავლო კურსებზე დაშვების კრიტერიუმების დადგენა და (4) თარჯიმნებისთვის სახელმძღვანელოს/გზამკვლევის შემუშავება.

აღნიშნული სემინარის შედეგად, პროფესიის განვითარებისთვის შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

- (1) სასწავლო კურიკულუმის შემუშავების აუცილებლობა ტრენერი თარჯიმნებისთვის;
- (2) უნარების განვითარების ფართო ხელმისაწვდომობა ახალი თარჯიმნებისთვის;
- (3) მოწინავე ტრენინგ კურსების მომზადება პროფესიული უნარების განახლებისთვის იმ თარჯიმნებისთვის, რომლებიც უკვე პროფესიულ ცოდნას ფლობდნენ.

ასევე, შემუშავდა რეკომენდაცია, გამოყოფილიყო ფედერალური გრანტები ახალი სატრენინგო პროგრამებისთვის უშუალოდ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში მთელს შეერთებულ შტატებში¹¹. როგორც პროფესიის განვითარებაში კულმინაციური წვლილი, სემინარის მონაწილეებმა შეიმუშავეს სახელმძღვანელო, რომელიც ითვალისწინებდა ფორმალური თარჯიმნის კურიკულუმის დაწყებას და სტანდარტებს თარჯიმნების მოსამზადებლად მომავალი დასაქმებისთვის. ამასთანავე, ხაზი გაესვა თარჯიმნის მომზადებისთვის ისეთი პარამეტრების დადგენის მნიშვნელობას, რომლებიც პროფესიის პოპულარიზაციასა და საშუალო განათლების შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში პროცესის ორგანიზებას შეუწყობდა ხელს. ჟესტური ენის თარჯიმნის დარგის რეგულირების სამი ძირითადი გზა განისაზღვრა: თარჯიმნის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, პრაქტიკოსების სერტიფიცირება და პრაქტიკოსების ლიცენზირება.

1970 – იან წლებში სახელმწიფო გრანტი ხელმისაწვდომი გახდა საშუალო განათლების შემდგომ საფეხურის, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რაც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ჟესტური ენის თარჯიმნების რაოდენობის სწრაფად გაზრდის ხელშეწყობას.

ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და ლიცენზირების სისტემა

RID-ის მიერ გაცემული ეროვნული სერტიფიკატი ჟესტური ენის თარჯიმნების მიერ განიხილება როგორც პორტატულ რწმუნებათა სიგელი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იმუშაონ ამერიკის უმეტეს შტატში. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ლიცენზირების, ასევე,

¹¹ Ball, 2013

სერტიფიცირების მიზანი თარჯიმნის კვალიფიკაციის აღიარება/დადასტურებაა, ეს ორი სისტემა განსხვავდება ერთმანეთისგან:

- ლიცენზირებას აკონტროლებენ სახელმწიფო უწყებები. როგორც წესი, სერტიფიცირებას აკონტროლებს ასოციაცია, რომელიც დაკავშირებულია პროფესიონალთა ჯგუფის სპეციალიზებულ მუშაობასთან ან ტესტირებისა და სერტიფიკაციის ინდუსტრიასთან.
- ლიცენზირება არის სანდოობის დადასტურების სავალდებულო პროცესი, რომელიც დადგენილია მთავრობის მიერ. სერტიფიცირება არის ნებაყოფლობითი პროცესი, რომელიც დაარსებულია კერძო, როგორც წესი, არაკომერციული პროფესიული ასოციაციის მიერ. ამასთან, შესაძლებელია, რომ სალიცენზიო პროცესის ნაწილი მოითხოვდეს პირისგან პროფესიული სერტიფიცირების გავლას.
- იმ შტატებში, რომლებსაც აქვთ სალიცენზიო მოთხოვნები, ლიცენზიის გარეშე მუშაობა კანონის დარღვევად მიიჩნევა. იმ შტატებში, სადაც არ არსებობს სალიცენზიო მოთხოვნა, სერტიფიკატი საკმარისია. ამასთან, იმის გამო, რომ სერტიფიკატების გამცემ ასოციაციებს აქვთ უფლებამოსილება მხოლოდ იმ პირთა ზედამხედველობაზე, რომლებიც ფლობენ სერტიფიკატებს, ასოციაციას ძალიან ცოტა შეუძლია გააკეთოს, როდესაც სერტიფიკატის არმქონე პირები წევრს მომსახურებას.

ასე რომ, სერტიფიკაციისა და ლიცენზირების კომბინაცია ბევრად უფრო მძლავრ საფუძველს ქმნის მომხმარებელთა, დამსაქმებელთა და კვალიფიციური სამუშაო ძალის ინტერესის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ სისტემაში არსებობს განსხვავებები, ლიცენზირება და სერტიფიცირება ორივე ემსახურება საერთო მიზანს - იმის დადგენას, თუ ვინ ფლობს მინიმალურ კვალიფიკაციას კონკრეტული პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად.

ქესტური ენის თარჯიმნების ყველაზე ფართოდ აღიარებული სასერტიფიკატო პროგრამა, RID-ის სასერტიფიკატო პროგრამაა. სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების უფლება მოიცავს სხვადასხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, მათ შორის, განათლებით და გამოცდილებით. საგამოცდო პროცესი მოიცავს როგორც წერილობით, ასევე პრაქტიკული უნარების დემონსტრირების ტესტს. RID მის წევრ ქესტური ენის თარჯიმნებს ავალდებულებს სერტიფიკატის შენარჩუნების პროგრამაში მონაწილეობას (Certification Maintenance Program (CMP)). აღნიშნული მოითხოვს RID-ის მიერ სერტიფიცირებული პრაქტიკოსებისგან, მონაწილეობა მიიღონ უწყვეტი განათლების პროცესში 4 წლიანი ციკლის განმავლობაში და ყოველი ციკლის ბოლოს დაადასტურონ განახლებული სტანდარტები.

RID-ის შემთხვევაში, აღნიშნული რეგულაცია ხორციელდება ეთიკური პრაქტიკის სისტემის (EPS) მეშვეობით, რომელიც იცავს ეთიკური სტანდარტების განხორციელებას და ახდენს თარჯიმნების ეთიკურ დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას. როდესაც პრაქტიკოსი თარჯიმნები ავლენენ დარღვევებს, ისინი ექვემდებარებიან სხვადასხვა ტიპის დისციპლინურ ზომებს, რომელიც შესაძლოა სერტიფიკატის შეჩერებით ან გაუქმებით დასრულდეს.

გარდა ამისა, ზოგიერთი შტატი ახდენს საკუთარი სასერტიფიკატო პროგრამების ადმინისტრირებას. ეროვნული სერტიფიცირებისგან განსხვავებით, შტატის სერტიფიკაცია ადგენს სავალდებულო პროცესს შტატში მომუშავე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის და მათ სამთავრობო სააგენტო ან სუბიექტი მართავს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ტესტირება ასევე გამოიყენება სალიცენზიო და სარეგისტრაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთ შტატში მუშაობისთვის, საჭიროა პროფესიონალ თარჯიმნად რეგისტრაცია. რეგისტრაცია პროცედურულად ჰგავს ლიცენზირებას, თუმცა, როგორც წესი, იგი არ ქმნის იგივე შესაძლებლობას, როგორსაც ლიცენზირება. ლიცენზირება, როგორც რეგულირების ფორმა, გარკვეულწილად განსხვავდება შტატების მიხედვით. თუმცა, პრაქტიკოს თარჯიმნებს მოეთხოვებათ ლიცენზიის განახლება შესაბამისი ფორმის შევსებით, უწყვეტი განათლების დამადასტურებელი საბუთების წარდგენით და ყოველწლიური სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდით.

სპეციალიზაცია

სპეციალიზაცია სთავაზობს პრაქტიკოსებს შესაძლებლობას მოიპოვონ უფრო მაღალი დონის კომპეტენცია პრაქტიკის კონკრეტულ სფეროებში. არსებითად, არსებობს ორი გზა, რომლითაც ჟესტური ენის თარჯიმანი პრაქტიკოსი ცდილობს მიიღოს სპეციალიზაცია - თვით-დადასტურება ან რაიმე სახის დადასტურების მიღება უფლებამოსილი/აღიარებული სუბიექტისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად პრაქტიკის მხოლოდ რამდენიმე სფეროა, სადაც სპეციალობის დამტკიცების შესაძლებლობა არსებობს, თვით-დადასტურების პროცესები უფრო გავრცელებულია. სპეციალიზებული კომპეტენციის თვით მინიჭება, როგორც წესი, ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდუალური პრაქტიკოსი იძენს სპეციალურ ცოდნას გარკვეულ გარემოში და ცდილობს შეიძინოს მაღალი დონის გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით. ამის გავრცელებული მაგალითები შეიძლება იყოს განათლების (K-12), ჯანდაცვის, სამართლებრივ და საშემსრულებლო ხელოვნების თარჯიმნობის სფეროში. სპეციალიზაციის კომპეტენცია კონკრეტულ გარემოში მუშაობის გარდა, შეიძლება ასევე მოიცავდეს მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფთან მუშაობას ან კონკრეტულ ფუნქციას. მაგალითად, პრაქტიკოსი შეიძლება ფლობდეს ყრუ-უსინათლო ადამიანებთან მუშაობის სპეციალურ კომპეტენციას ან იმ ყრუ ემიგრანტებთან მუშაობის კომპეტენციას, რომლებიც ჯერ სათანადოდ არ ფლობენ ამერიკულ ჟესტურ ენას. გარდა ამისა, პრაქტიკოსი შეიძლება სპეციალიზდეს ვიდეოზე დაფუძნებულ თარჯიმნობაში, როდესაც მისი სამუშაო ხორციელდება უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიის გამოყენებით. პრაქტიკოსებს შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი სპეციალიზაცია სავიზიტო ბარათების, საკუთარი ვებ-გვერდების, რეკომენდაციების, დასაქმების ან მათი მუშაობის დამადასტურებელი სხვა გზების გამოყენებით. ამის საპირისპიროდ, სპეციალიზაციის ფორმალური დადასტურება ზოგიერთი აღიარებული სუბიექტის მიერ გარე აღიარების შედეგია. აღნიშნული, როგორც წესი, მოიცავს სპეციალიზებული სასწავლო კურსის

წარმატებით დასრულებას, სუპერვიზიის ქვეშ მუშაობის გარკვეულ პერიოდს და მინიმალური კომპეტენციის დამოწმებას სერთიფიკატით ან დადასტურების სხვა ფორმალური გზით.

მაგალითად, ფორმალური მომზადება იურიდიული, ჯანდაცვისა და საჯარო სკოლების თარჯიმნობის სფეროებში შეერთებული შტატების რამდენიმე უნივერსიტეტში არსებობს. სპეციალიზებული პროგრამები, სპეციალიზაციამდე, თარჯიმნის ზოგადი კომპეტენციის განვითარებას მოიცავს. ეს განსაკუთრებით ეხება სამართლებრივი და ჯანდაცვის თარჯიმნობის სფეროს. გარდა ამისა, ამჟამად სპეციალიზაციის მინიჭება ხდება შეფასების ან სერტიფიცირების საშუალებით, როგორც K-12 (საგანმანათლებლო), ასევე, სამართლებრივი სფეროს თარჯიმნებისათვის.

RID-ის მიერ შემუშავებული სტანდარტული პრაქტიკის დოკუმენტები ასახავს მისი წევრების კონსენსუსს სტანდარტული პრაქტიკისა და ინტერპრეტაციის/თარგმნის სხვადასხვა როლებსა და საკითხებზე. აღნიშნული სტანდარტული პრაქტიკის დოკუმენტები სხვადასხვა წელს არის შემუშავებული და მრავალ სფეროსა და საკითხს მოიცავს.¹²

ქესტური ენის თარჯიმანი საქართველოს კონტექსტში

ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურების სფეროები საქართველოში

საქართველოში უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა სფეროში ფორმალურად გამოიყენება ქართული ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს (ქ. თბილისის გარდა) მინიმუმ რვა რეგიონში უზრუნველყოფილია 10 სურდოთარჯიმნის (ქესტური ენის თარჯიმნის) მომსახურება (თითოეულ ამ რეგიონში მინიმუმ ერთი თარჯიმანი); იგივე ტიპის მომსახურება თბილისის ფარგლებში თბილისის მერიის მიერ ფინანსდება და საქართველოს ყრუთა კავშირის¹³ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მასში 15 თარჯიმანია ჩართული. აღნიშნული მომსახურებების ფარგლებში, განსაზღვრულია ყრუთა ინფორმირება სახელმწიფო მომსახურებების შესახებ, ასევე, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში: საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო (სკოლა, პროფესიული, უმაღლესი), სკოლამდელი აღზრდისა და განათლების (საბავშვო ბაღი), სამედიცინო და რელიგიურ დაწესებულებებში მომსახურების მისაღებად საჭირო კომუნიკაციის ხელშეწყობა.

¹² <https://rid.org/about-rid/about-interpreting/setting-standards/standard-practice-papers/>

¹³ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში 1998 წლის 23 დეკემბერს დარეგისტრირდა

უკვე რამდენიმე წელია, რაც ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურების გაწევა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხდება. ქესტური ენის თარჯიმნები მუშაობენ სსიპ - ქალაქ თბილისის N203, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N45 რესურს სკოლებსა და სსიპ - ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლის ინტეგრირებულ კლასში. 2013 წლიდან, ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურება ყრუ ადამიანებისთვის სრულად ხელმისაწვდომია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში მთელი საქართველოს მასშტაბით. ყრუთა კავშირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად სკოლამდელ განათლებაში ყრუ ბავშვების ხელშესაწყობად ქესტური ენის 3 თარჯიმანია ჩართული.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მოქმედ ქესტური ენის თარჯიმნებს განსხვავებულ სფეროებში მუშაობა და რამდენიმე სამუშაოს ერთდროულად შეთავსება უწევთ, რაც გამოწვევას წარმოადგენს როგორც მომხმარებლის საჭიროების დროულად დაკმაყოფილების, ასევე, ცალკეულ სფეროში სპეციალიზებული პროფესიული რესურსის არსებობის კუთხით.

ქესტური ენის თარჯიმნების მომზადება და პროფესიის განვითარება

ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების საწყის ეტაპზე, საქართველოშიც ქართული ქესტური ენის თარჯიმნის საქმიანობას ყრუ ადამიანების შვილები (ე.წ. CODA -Children of Deaf Adults) ასრულებენ, რომელთაც ქესტური ენა ადრეული ასაკიდან მშობლებთან კომუნიკაციის პროცესში აქვთ ათვისებული.

დღესდღეობით, პრაქტიკოსი ქართული ქესტური ენის თარჯიმნებისა და მათი დასაქმების ადგილების შესახებ ინფორმაციას საქართველოს ყრუთა კავშირი აწარმოებს; თუმცა, ამჟამად, ქვეყანაში არ არსებობს ქართული ქესტური ენის თარჯიმნების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ფორმალური სისტემა. ამასთანავე, საქართველოში არ ჩამოყალიბებულა ქართული ქესტური ენის თარჯიმნების რაიმე ტიპის ეროვნული ასოციაცია/ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების თანახმად, ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიულ განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დღესდღეობით, საქართველოში დაახლოებით 50 ქართული ქესტური ენის თარჯიმანი მუშაობს. ქართული ქესტური ენის 20-მდე თარჯიმანი, რომელიც ამჟამად ველზეა, არ ფლობს ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიკატს და საჭიროებს შემდგომ პროფესიულ გაძლიერებას, ხოლო 32 თარჯიმანი ფლობს ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიკატს, რომელიც გაცემულია ან სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ (შეფასებაზე დაფუძნებული სერტიფიკატი) ან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (მონაწილეობის სერტიფიკატი, რომელიც არ გულისხმობს სწავლის შედეგების შეფასებას). ამასთანავე, ყრუთა კავშირის თანახმად, პრაქტიკაში მყოფი ყველა თარჯიმანი თანაბრად სრულფასოვნად არ ფლობს ქართულ ქესტურ ენას, რაც თარჯიმნის

საქმიანობის მაღალი ხარისხით განხორციელებისთვისაა აუცილებელი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში არ შემუშავებულა ქართული ჟესტური ენის სტანდარტი ენის ცოდნის ყველა შესაძლო დონის გათვალისწინებით და არ არის განსაზღვრული ქართული ჟესტური ენის ფლობის დონეები, რაც ქართულ ჟესტურ ენაში კომპეტენციების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას შექმნიდა.

რაც შეეხება სატრენინგო კურსებს, რომლის საფუძვლადაც ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების გარკვეულმა ნაწილმა სერტიფიკატი მიიღო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლის ფარგლებში 2015 და 2016 წლებში პრაქტიკოსი ჟესტური ენის თარჯიმნებისთვის განახორციელა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი 30 საათიანი ორი ტრენინგ კურსი: 2015 წელს „ჟესტური ენის თარჯიმანთა მოსამზადებელი კურსი“ (სფეროს რუსი ექსპერტების მიერ) და 2016 წელს „ჟესტური ენის თარჯიმნების გადამზადების კურსი“ (სფეროს ნორვეგიელი ექსპერტების მიერ). ხოლო სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით რამდენიმე წლის წინ ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების მოსამზადებელი ტრენინგ-მოდული შეიმუშავა, რომელიც ზოგადი პროფილის ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიულ გადამზადებას ისახავდა მიზნად და სამი დონისგან შედგებოდა (თითოეული დონის ხანგრძლივობა იყო 60 საათი). სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა, იგივე ტრენინგი თბილისის მერიის დაფინანსებით, 2020 წლამდე რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ყრუთა კავშირმაც ჩაატარა. ცოტა ხნის წინ, მოხდა აღნიშნული ტრენინგ მოდულის რევიზია, რის შედეგადაც, სამი დონე ერთ მოდულად გაერთიანდა (პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 60 საკონტაქტო საათს, გამოცდის ჩათვლით), გაიზარდა სასწავლო ჟესტების რაოდენობა, ჟესტური ენის თარჯიმნის ეთიკის ნაწილში დაემატა რამდენიმე საკითხი (მაგ. თარჯიმნის იერსახე და ჩაცმულობა, ქცევა და სხვა). Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, ცვლილება შევიდა პრაქტიკულ ნაწილშიც და გაჩნდა პრაქტიკის დისტანციურად გავლის შესაძლებლობა. ამასთანავე, განისაზღვრა პროგრამის მონაწილეთა შერჩევისა და სერტიფიკატის გაცემის პირობები. შემუშავდა პროგრამის მონაწილეთა შესარჩევი ინტერვიუ და ინტერვიუს შეფასების კრიტერიუმები.

საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პოლონურ მხარესთან თანამშრომლობით, ქართული ჟესტური ენის თარჯიმნებისთვის მომზადდა ახალი სპეციალიზებული კურსი კულტურის სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქართული ჟესტური ენის თარჯიმნებისთვის განსაზღვრული პირველი სპეციალიზებული კურსია. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, ქართული ჟესტური ენის თარჯიმნებისთვის აქამდე არ შემუშავებულა სპეციალიზებული კურსები, თარჯიმნების გარკვეულ ნაწილს ამა თუ იმ სფეროში (მაგ: ჯანმრთელობის/სამედიცინო, სამართლის) მუშაობის საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ დაგროვილი. სპეციალიზებული მიმართულების განვითარებისთვის, მნიშვნელოვან რესურსსა და პლატფორმას წარმოადგენს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მხარდაჭერით, ყრუთა თემის აქტიური ჩართულობით 2015-2018 წლებში საგანმანათლებლო სივრცისთვის შექმნილი ქართული ქესტების ელექტრონული ლექსიკონი SignWiki.¹⁴ აღნიშნული ელექტრონული ლექსიკონი მოიცავს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისთვის (მეექვსე კლასის ჩათვლით) სხვადასხვა საგნობრივი ტერმინების შესაბამის ქესტებს და პროფესიული განათლების 15-ზე მეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული ტერმინების შესაბამის ქესტებს. ამასთანავე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობის და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „გაუმჯობესებული სერვისები ყველასათვის“ ფარგლებში, შეიქმნა იუსტიციის სახლის სერვისთან დაკავშირებული 400 ტერმინის შესაბამისი ქესტი, შესაბამისი ვიდეო მასალით.

რაც შეეხება ქართული ქესტური ენის თარჯიმნების მომზადებას საუნივერსიტეტო დონეზე, ამჟამად, ქვეყანაში მსგავსი გამოცდილება არ არსებობს. მეორე მხრივ, საბაკალავრო პროგრამის შემუშავება და თარჯიმნების საუნივერსიტეტო დონეზე მომზადება, ქართული ქესტური ენის თარჯიმნად მომზადების პირობას შექმნიდა არა მხოლოდ ყრუთა შვილებისთვის, არამედ პროფესიის შეძენის სხვა დაინტერესებულ პირთათვისაც. ქართული ქესტური ენის თარჯიმნის საუნივერსიტეტო დონეზე მომზადების პლატფორმად, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა იქცეს ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (განსაკუთრებით ის, რომელსაც უცხო ენების ფაკულტეტი გააჩნია). ამასთან, აღსანიშნავია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოტენციალი, რომელშიც ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი ფუნქციონირებს და ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მხარდაჭერით სხვა კვლევით პროექტებს შორის, ქართული ქესტური ენის კვლევაც ხორციელდება. 2012 წელს თამარ მახაროზიძის ავტორობით, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ქესტური ენის განვითარების მიმართულებას უძღვება, მომზადდა ქართული ქესტური ენის გრამატიკის წიგნი „ქართული ქესტური ენა“, რომელშიც ქართული ქესტური ენის გრამატიკაა გაანალიზებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესია ფორმალურად აღიარებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კლასიფიკაციების ჩარჩო არ მოიცავს ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიას, საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორებში, რომელსაც ეროვნული კლასიფიკაციების ჩარჩო ეფუძნება, ქესტური ენის თარჯიმანი შესულია მთარგმნელების, თარჯიმნების და სხვა ლინგვისტების ჯგუფურ ერთეულში. აღნიშნული ფაქტორი, კეთილსაიმედო საფუძველს ქმნის საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის ეროვნული კლასიფიკატორების ჩარჩოში შეტანისა და პროფესიის ფორმალური აღიარებისთვის.

¹⁴ https://ge.signwiki.org/index.php/Main_Page

II ნაწილი

რეკომენდაციები საქართველოში ქართული ჟესტური ენის
თარჯიმნების სერტიფიცირების და პროფესიის განვითარების
სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე

შესავალი - საქართველოში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების აქტუალობა

საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის მაღალი ხარისხის მომსახურების განვითარება, აუცილებლობით მოითხოვს სათანადო საგანმანათლებლო პროგრამების და სერტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა. ამასთანავე, საჭიროა შესაბამისი სტანდარტებისა და რეგულაციების შემუშავება, რის საფუძველადაც, შესაძლებელი იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების გამოვლენა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ თარჯიმნის საქმიანობა ქვეყანაში იყოს დაფასებული და შრომის ბაზარზე სათანადოდ ანაზღაურებული.

საქართველოში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების სისტემის და ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიის მაღალი სტანდარტის განვითარება ხელს შეუწყობს:

- ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების მუდმივი პროფესიული განვითარებისთვის სათანადო შესაძლებლობებისა და პირობების შექმნას;
- ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების მაღალი ხარისხის მომსახურების ჩამოყალიბებას და მომხმარებლისთვის იმის გარანტირებას, რომ სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებული თარჯიმანი მას ერთნაირად მაღალი ხარისხის მომსახურებას გაუწევს;
- ქართული ჟესტური ენის თარჯიმნებისთვის ღირსეული ანაზღაურების განსაზღვრას;
- ქართული ჟესტური ენით მოსარგებლე ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მონაწილეობის გაზრდას.

დოკუმენტის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციები ეხმიანება ჟესტური ენისა და ჟესტური ენის პროფესიონალი თარჯიმნების შესახებ ევროპარლამენტის 2016 წლის 23 ნოემბრის რეზოლუციას, რომელიც, ქვეყანაში კვალიფიციური და პროფესიონალი ჟესტური ენის თარჯიმნების მომსახურების გასავითარებლად, შემდეგ ძირითად საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას:

- ✓ ჟესტური ენის ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე ფორმალური აღიარება;
- ✓ ფორმალური მომზადება (საუნივერსიტეტო დონეზე ან მასთან გათანაბრებული);
- ✓ ჟესტური ენის თარჯიმნების რეესტრის წარმოება (ოფიციალური აკრედიტაციის/სერტიფიცირების და ხარისხის კონტროლის სისტემა მუდმივი პროფესიული განვითარებისთვის);
- ✓ პროფესიის ფორმალური აღიარება;

- ✓ ხარისხის ობიექტური შეფასება, რომელშიც მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე;
- ✓ ყრუთა თემის ექსპერტ-წარმომადგენლების ჩართულობა;

საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების მიმართულებით არაერთი ღონისძიებაა გასატარებელი, რომელთაგანაც ზოგიერთი შედარებით დიდ დროს მოითხოვს და შეიძლება უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში განვიხილოთ, ხოლო ზოგიერთი ღონისძიების უზრუნველყოფა, შედარებით მოკლე ვადაში იქნება შესაძლებელი. ქვეყანაში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარებისა და მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით, რეკომენდებულია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
2. ქართული ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით, ყრუთა თემის საჭიროებების კვლევა;
3. ქართული ქესტური ენის სწავლების სტანდარტის შემუშავება და ენის ფლობის დონეების განსაზღვრა;
4. ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტის შემუშავება;
5. ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის ფორმალური აღიარება;
6. ქართული ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავება;
7. ქართული ქესტური ენის თარჯიმნების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება - რეესტრისა და სერტიფიცირების სისტემა.
8. ქართული ქესტური ენის თარჯიმნების ეროვნული პროფესიული კავშირის/გაერთიანების ფორმირება;
9. საკანონმდებლო დოკუმენტებში სათანადო პროფესიული ტერმინის - „ქართული ქესტური ენის თარჯიმანი“ დამკვიდრების ხელშეწყობა.

რეკომენდაცია N1 - სამუშაო ჯგუფის ფორმირება

საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებულ მრავალ გამოწვევაზე რეაგირებისთვის, მნიშვნელოვანია, ერთიანი სისტემატიზებული მიდგომის არსებობა და არაერთი ღონისძიების განხორციელება, როგორცაა: პროფესიული სტანდარტის შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, სერტიფიცირების სისტემის დამკვიდრება და სხვა. იმისათვის, რომ აღნიშნული ღონისძიებები სათანადოდ განხორციელდეს, რეკომენდებულია, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (მაგ.: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტრო, ყრუთა თემის წარმომადგენელი ექსპერტები, ქართული ჟესტური ენის თარჯიმნები, ენათმეცნიერები, სფეროს ექსპერტები და სფეროსთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები თუ პირები) წარმომადგენლებისგან სამუშაო ჯგუფის ფორმირება. აღნიშნული ჯგუფი, ქვეყანაში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს განახორციელებს. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი სასურველია იყოს ფორმალიზებული და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი, რომელსაც ექნება დებულება და სამუშაო სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაცია N2 - ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით ყრუთა თემის საჭიროებების კვლევა

ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურების მომხმარებელს, ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები წარმოადგენენ. შესაბამისად, ქვეყანაში ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება (მაგ.: ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიის სტანდარტის, სერტიფიცირების სისტემის, საგანმანათლებლო, მათ შორის სპეციალიზებული პროგრამების შემუშავება და სხვა), რეკომენდებულია ეფუძნებოდეს ყრუ ადამიანების საჭიროებების კვლევას. აღნიშნული კვლევა უზრუნველყოფს ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით ყრუთა თემის საჭიროებების და მოსაზრებების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ყრუ ადამიანებთან ამ ტიპის კვლევა ჩატარდა დიდ ბრიტანეთში ჟესტური ენის თარჯიმნების პროფესიონალიზაციის სისტემის აგებამდე.¹⁵ სოციალური მუშაკებისა და ყრუ მშობლების შვილების (CODA) დახმარებაზე მრავალწლიანი დამოკიდებულების შემდეგ, ბრიტანეთის ყრუთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ყრუ ადამიანების თარჯიმნებთან დაკავშირებული საჭიროებები შესწავლას. კვლევის შედეგებმა გამოკვეთა ჟესტური ენის თარჯიმნის როლის პროფესიონალიზების აუცილებლობა, რათა ყრუ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მისაწვდომი გამხდარიყო ასისტენტისა და სოციალური მუშაკების დახმარების გარეშე.

რეკომენდაცია N3 - ქართული ჟესტური ენის სწავლების სტანდარტის და ენის ფლობის დონეების შემუშავება

შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის, ევროპარლამენტის რეზოლუციის ის მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც ქვეყანაში ჟესტური ენის ფორმალურ აღიარებას შეეხება პროფესიონალი და კვალიფიციური ჟესტური ენის თარჯიმნების მომსახურების განვითარებისთვის, საქართველოში დაკმაყოფილებულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების

¹⁵ Scott Gibson, 1991

უფლებების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონით. თუმცა, ქვეყანაში შესაძლებელი და დასამტკიცებელია ქართული ქესტური ენის სწავლების სტანდარტი ენის ცოდნის ყველა შესაძლო დონისთვის და განსასაზღვრია ქართული ქესტური ენის ცოდნის დონეები, რაც, ქართული ქესტური ენის ფლობის ობიექტურად შეფასების, ქართული ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის მინიჭების მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის. აღნიშნული ტიპის სტანდარტები განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდეს და რას უნდა აკეთებდეს პირი ყოველი დონის გავლის შემდეგ. სტანდარტები აღწერს პროგრესის შეფასების ინდიკატორებს თითოეული დონისთვის და საფუძვლად ედება ქესტური ენის სასწავლო პროგრამების შემუშავებას. ქესტური ენის სწავლის სტანდარტები შეიძლება მოერგოს ენის ცოდნის სხვადასხვა დონეზე მყოფ პირს.

ენის სტანდარტის შემუშავების პროცესი საკმაოდ კომპლექსურია, მრავალი მხარის (მაგ: ქესტური ენის მასწავლებლები, ქესტური ენის თარჯიმნები, ქესტური ენის ლინგვისტები/ლინგვისტები, სფეროს სხვა სპეციალისტები) ჩართულობას მოითხოვს და შესაძლოა რამდენიმეწლიან პროცესად იქცეს. როგორც წესი, აღნიშნული მიზნისთვის ფორმირდება სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც სტანდარტებზე მუშაობს და პერიოდულად, სტანდარტებს უკუკავშირისთვის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა პირებსა და ორგანიზაციებს აცნობს. მაგალითად, ამერიკული ქესტური ენის ერთ-ერთი სტანდარტი, შემუშავდა ამერიკული ქესტური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ASLTA) და თარჯიმნის განათლების ცენტრების ეროვნული კონსორციუმის (NCIEC) ერთობლივი ძალისხმევით, უცხო ენების სწავლების ამერიკული საბჭოს (ACTFL) ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით. კომიტეტი შედგებოდა ASL მასწავლებლების, სასწავლო პროგრამების ექსპერტებისა და კონსულტანტების მრავალფეროვანი ჯგუფისგან, რომელთაც ASL-ის ყველა დონეზე სწავლების გამოცდილება ჰქონდათ. ენის ეროვნული სტანდარტების კომიტეტის ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, სტანდარტი განსახილველად ASLTA-ს წევრებს და სხვა სპეციალისტებსა და მასწავლებლებს გადაეგზავნათ მთელი ქვეყნის მასშტაბით. სტანდარტის საბოლოო ვერსიაზე მუშაობა მისი დაწყებიდან 5 წელიწადში დასრულდა.

ქართული ქესტური ენის სწავლების სტანდარტის შემუშავებისა და ენის ფლობის დონეების განსასაზღვრად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის გამოცდილება. მაგალითად, აშშ-ში, ამერიკული ქესტური ენის სტანდარტები განსხვავებული შეიძლება იყოს ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის (როგორც პირველი ენა) და სმენის მქონე პირებისთვის (როგორც მეორე ენა). ბუნებრივი ენების განვითარებაში არსებული მსგავსებების გამო, როგორც წესი, ქესტურის, როგორც პირველი ენის სწავლების სტანდარტი ადგილობრივი უმრავლესობის ენის სტანდარტებს მიჰყვება და პარალელურია ინგლისური ენის ხელოვნების საერთო ძირითადი სტანდარტებისა (The Common Core State Standards for English Language Arts (CCSS ELA)). აღნიშნული თანხვედრა უზრუნველყოფს მაღალ მოლოდინებს ASL-ის შემსწავლელი პირების მიმართ. CCSS ELA– ს სტანდარტების მსგავსად, ASL შინაარსობრივი სტანდარტები ითვლება ცოცხალ დოკუმენტად და როგორც კი პროფესიონალური პრაქტიკიდან და კვლევებიდან ახალი მტკიცებულებები ჩნდება ქესტური

ენის განვითარებისა და სწავლის თავისებურებების შესახებ, მოსალოდნელია ქესტური ენის სწავლების სტანდარტის შინაარსობრივი სტანდარტების გაფართოება და/ან ადაპტირება. ხოლო, ქესტურის, როგორც მეორე ენის სწავლების სტანდარტი, მაქსიმალურად თანხვედრაშია უცხო ენების ამერიკული საბჭოს მიერ (American Council on the Teaching of Foreign Languages (ACTFL)) დაფუძნებულ საკომუნიკაციო მოდალობის ჩარჩოსთან და მოიცავს უცხო ენების სწავლების მიზნების „5 C“-ს: communication, cultures, connections, comparisons, and communities¹⁶ (კომუნიკაცია, კულტურები, კავშირები, შედარებები და თემი).

რაც შეეხება ბრიტანული ქესტური ენის სწავლების სტანდარტს, ენის ფლობის 6 დონეა შემუშავებული და კვალიფიკაციის მინიჭება 6 დონისთვის ხდება.¹⁷ ეს კვალიფიკაციები რეგულირდება კვალიფიკაციებისა და გამოცდების რეგულირების სამსახურის მიერ (The Office of Qualifications and Examinations Regulation (OFQUAL)) და უზრუნველყოფს, რომ მონაწილის მიერ დემონსტრირებული სწავლის ხარისხი, დააკმაყოფილებს გაერთიანებული სამეფოს პროფესიული ენის სტანდარტების მოთხოვნებს (UK Occupational Language Standards) თითოეული დონისთვის. ქესტური ენის სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ კანდიდატი ენის ცოდნის მხრივ აკმაყოფილებდეს ცალკეულ დონეზე დაშვების წინაპირობას. ბრიტანული ქესტური ენის თარჯიმნებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება, ქესტური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით ხდება. მაგალითად, ქესტურ ენაში მეოთხე დონის ფლობის შემთხვევაში, ქესტური ენის თარჯიმანს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს თარჯიმნის სერტიფიკატი, ხოლო, ქესტურ ენაში მეექვსე დონის ფლობის შემთხვევაში, ქესტური ენის თარჯიმნის დიპლომი.

რეკომენდაცია N4 - ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტის შემუშავება

პროფესიის სტანდარტი წარმოადგენს პრაქტიკის, ეთიკისა და ქცევის ერთობლიობას, რომელიც უნდა დაიცვან კონკრეტული პროფესიული ჯგუფის წევრებმა/წარმომადგენლებმა. პრაქტიკის სტანდარტის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიის წარმომადგენლებს შორის საერთო ხედვის ჩამოყალიბებას და კონკრეტული პროფესიისათვის სპეციფიკური ღირებულებების, ცოდნისა და უნარების განსაზღვრას, რაც თავის მხრივ, პროფესიული ქმედებების წარმართვას განაპირობებს. პროფესიული სტანდარტი ექსპლიციტურს ხდის პროფესიის სწავლების მიზანსაც.

ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტის შემუშავება და დამტკიცება, საქართველოში ქართული ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების, ფორმალური

¹⁶ Ashton, et al., 2008

¹⁷ <https://www.signature.org.uk/british-sign-language-qualifications/>

აღიარებისა და ასევე, სასწავლო პროგრამების და სერტიფიცირების სისტემის შემუშავების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

პროფესიის სტანდარტში შემავალი ღირებულებების, ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, როგორც წესი, მტკიცდება იმ მმართველი ორგანოს მიერ, რომელიც კონკრეტული პროფესიული ჯგუფის ინტერესებს წარმოადგენს და მისი შემუშავება თავად პროფესიის წარმომადგენლების/პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების/პირების მონაწილეობით ხდება.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დადგენილი აქვს პროფესიული სტანდარტის შემუშავების პროცედურა. პროფესიული სტანდარტი შეიძლება შემუშავდეს როგორც ცენტრის ფარგლებში, ასევე, გარეშე პირების მოთხოვნით ან მათ მიერ. პროფესიული სტანდარტის შემუშავება-განვითარების მიზნით, ინიციატორს შეუძლია მიმართოს ცენტრს სტანდარტის ცენტრის მიერ შემუშავების/განვითარების შესახებ ან ინიციატორმა გამოხატოს დოკუმენტების საკუთარი რესურსით შემუშავების/განვითარების შესახებ მზაობა.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პროფესიული სტანდარტის შექმნას კურირებს ქვესტური ენის თარჯიმნების ეროვნული პროფესიული გაერთიანებები ყრუთა გაერთიანებებთან ერთად. ქართული ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტის შემუშავებისას, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას რომელიმე მოწინავე ქვეყნის ფარგლებში შემუშავებული ქვესტური ენის თარჯიმნის სტანდარტიც, რომლის დამუშავება და ადაპტირებაც მოხდება ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითის სახით, დანართში N1 წარმოდგენილია ამერიკის შეერთებულ შტატებში ყრუთა ეროვნული ასოციაციის (NAD) და ყრუთა თარჯიმნების რეესტრის (RID) მიერ შემუშავებული ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიული ქცევის კოდექსი, რომელიც შედგება შვიდი სფეროს დებულებისგან, ოთხი სახელმძღვანელო პრინციპისა და შესაბამისი საილუსტრაციო ქცევისგან და რომელიც აშშ-ში სხვადასხვა სფეროს ქვესტური ენის თარჯიმნების პროფესიული სტანდარტის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს ყრუთა კავშირის ინფორმაციით, საერთაშორისო დოკუმენტებზე დაფუძნებით, კავშირსაც აქვს მომზადებული ქართული ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტი.

რეკომენდაცია N5 - ქართული ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიის ფორმალური აღიარება

საქართველოში ქართული ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარების კიდეც ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას, პროფესიის ფორმალური აღიარება და ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩამონათვალში შეტანაა. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ეროვნული კლასიფიკაციების ჩარჩო არ მოიცავს ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიას, საერთაშორისო

სტანდარტულ კლასიფიკატორებში (დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორ ISCO-08), რომელსაც ეროვნული ჩარჩო ეფუძნება, შესტური ენის თარჯიმანი შესულია მთარგმნელების, თარჯიმნების და სხვა ლინგვისტების ჯგუფურ ერთეულში. წინამდებარე ჯგუფურ ერთეულში კლასიფიცირებული პროფესიები შემდეგ ჯგუფურ ერთეულებად იყოფა:

- თარჯიმანი;
- ლექსიკოგრაფი;
- ფილოლოგი;
- შესტების ენის მთარგმნელი სპეციალისტი;
- სუბტიტრებზე მომუშავე სპეციალისტი;
- მთარგმნელი;
- მთარგმნელ-შემსწორებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული „ეროვნული კვალიფიკაციის ფორმირების წესის თანახმად“, შესაძლებელია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში კვალიფიკაციის დამატება. კვალიფიკაციის ფორმირების წესის თანახმად, კვალიფიკაციის დამატება შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც დაინტერესებული მხარის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე. განაცხადების წარმოდგენის ვადები და დეტალური პროცედურა განისაზღვრა ცენტრის დირექტორის ბრძანებით¹⁸

რეკომენდაცია N6 - ქართული შესტური ენის თარჯიმნების პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავება

ქართული შესტური ენის თარჯიმნის პროფესიის განვითარებისა და პროფესიონალი ქართული შესტური ენის თარჯიმნების მოსამზადებლად, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც გაითვალისწინებს, როგორც ქვეყანაში უკვე არსებული ქართული შესტური ენის თარჯიმნების პროფესიული განვითარების საჭიროებებს, ასევე, ხელს შეუწყობს დასაქმების ბაზარზე ქართული ენის ახალი თარჯიმნების გაჩენას.

ქართული ენის თარჯიმნის მომზადების პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ყველა არსებულ თუ პოტენციურ ქართული ენის თარჯიმანს და მათი პროფესიული საქმიანობის სათანადოდ განხორციელებისთვის აუცილებელ საჭიროებებს; შესაბამისად, შესაძლებელია

¹⁸ <https://eqe.ge/ka/page/static/669/profesiuli-kvalifikatsiis-formireba-ganvitareba>

შემუშავდეს შედარებით მოკლევადიანი პროგრამები (გადამზადების და მომზადების) და უფრო გრძელვადიანი - საბაკალავრო ან მასთან გათანაბრებული პროგრამა/პროგრამები.

ა) მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსი - *მათთვის ვინც სათანადოდ ფლობს ქართულ ჟესტურ ენას და ასევე, გააჩნია თარჯიმნის გარკვეული კომპეტენციები/თარჯიმნად მუშაობის გარკვეული გამოცდილება;*

ბ) მოკლევადიანი პროფესიული მომზადების კურსი - *მათთვის, ვინც ფლობს ქართულ ჟესტურ ენას, მაგრამ საჭიროებს ენობრივი უნარების გაძლიერებას და ჟესტური ენის თარჯიმნის კომპეტენციების შეძენას;*

გ) საბაკალავრო ან მასთან გათანაბრებული პროგრამა - *ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესიის დაუფლების ნებისმიერი მსურველისთვის, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა ქართულ ჟესტურ ენას.*

ფიგურა 1.



ზოგადი პროფილის ჟესტური ენის თარჯიმნის სასერტიფიკატო პროგრამების გარდა, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სპეციალიზებული კურსებიც, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი სპეციალიზაციებით:

- საგანმანათლებლო თარჯიმანი;
- ჯანმრთელობის სფეროს თარჯიმანი;
- სამართლებრივი /იურიდიული სფეროს თარჯიმანი;
- ყრუ-უსინათლო ადამიანების თარჯიმანი;
- დისტანციური ვიდეო თარჯიმანი;
- ხელოვნების/კულტურული სფეროს თარჯიმანი;
- რელიგიური დაწესებულებების თარჯიმანი;
- ვიდეო ტექნოლოგიების მომსახურების თარჯიმანი;

არსებული ანალიზის თანახმად, მიმდინარე პერიოდისთვის, საქართველოში ჟესტური ენის თარჯიმნების სერვისის გამოყენება ყველაზე ხშირად შემდეგ სფეროებში ხდება:

- საგანმანათლებლო სფერო (ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე);

- ჯანმრთელობის სფერო;
- სამართლებრივი სფერო;

ზოგადი თუ სპეციალიზებული სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავებამდე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს კრიტერიუმები ქესტური ენის იმ თარჯიმნების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ქართული ქესტური ენისა და თარჯიმნის კომპეტენციებს სათანადოდ ფლობს და რომლებიც თავად იქნებიან ჩართული ქესტური ენის თარჯიმნებისთვის საგანმანათლებლო კურსების/პროგრამების მომზადების და სწავლების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა/მოსამზადებელი კურსი შესაძლოა შემუშავდეს ქართული ქესტური ენის თარჯიმნების მასწავლებლებისთვისაც.

რეკომენდებულია, რომ ქვეყანაში ქესტური ენის თარჯიმნებისთვის აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები არსებობდეს, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობას და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების და ხარისხის მექანიზმების განვითარებას.

ქართული ქესტური ენის თარჯიმნების სასერტიფიკატო პროგრამები

შეფასებაზე დაფუძნებული სასერტიფიკატო პროგრამის ძირითად ფოკუსს წარმოადგენს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ შეფასება წარმოადგენს სასერტიფიკატო პროგრამის განუყოფელ ნაწილს, პროგრამის ძირითადი მიზანი მონაწილეთათვის განათლების და ტრენინგის უზრუნველყოფაა, რაც მათ სწავლის შედეგების მიღწევაში ეხმარება. როდესაც ქვეყანაში არ არსებობს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლების სერტიფიცირების სისტემა, უმჯობესია შეფასებაზე დაფუძნებული სასერტიფიკატო კურსების შემუშავება. თუმცა, სამომავლოდ, როდესაც ქესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების სისტემა ჩამოყალიბდება, რომლის საშუალებითაც ქესტური ენის თარჯიმნები საკუთარი პროფესიული კომპეტენციების დადასტურებას სპეციალური ტესტირების/გამოცდის შედეგად შეძლებენ, შესაძლებელია არსებობდეს დასწრების/მონაწილეობითი კურსებიც, რომლებიც კონკრეტული ცოდნითა და უნარებით აღჭურვავენ მონაწილეებს და რომელთა დადასტურებასაც ისინი სერტიფიცირების გამოცდის საშუალებით შეძლებენ.

ქართული ქესტური ენის თარჯიმნებისთვის შეფასებაზე დაფუძნებული სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება და სწავლის შედეგების და მათთან დაკავშირებული ცოდნის, უნარ-ჩვევების და/ან კომპეტენციების განსაზღვრა სისტემური ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს, რაც თავის მხრივ მოიცავს: (ა) მონაწილეთა საჭიროებების ანალიზს; (ბ) ბაზრის ანალიზს; (გ) მომხმარებლების საჭიროებების და სხვა დაინტერესებული მხარეების ანალიზს. ამასთანავე, აუცილებელია პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის შინაარსის განხილვა/რევიზია და საჭიროებისამებრ, განახლება საგნის/სფეროს ექსპერტებისა და

კვალიფიციური პირების მიერ, რათა პროგრამამ შეინარჩუნოს აქტუალურობა და შესაბამისობა როგორც დადგენილ სწავლების დიზაინთან, ასევე, ბაზრის მოთხოვნებთან.

ქესტური ენის თარჯიმნებისთვის შემუშავებულ სასერტიფიკატო პროგრამას შეიძლება გააჩნდეს დაშვების წინაპირობები (მაგალითად ქართული ქესტური ენის ფლობა გარკვეულ დონეზე). ამასთანავე, სერტიფიკატის მისაღებად პროგრამის წარმატებით გავლის გარდა, შეიძლება არსებობდეს სხვა წინაპირობებიც (მაგალითად სამუშაო გამოცდილება).

როგორც ცნობილია, ამჟამად, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მუშაობს „სურდოთარჯიმანთა სერტიფიცირების პროგრამაზე“. მნიშვნელოვანია, ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტის შემუშავების შემდგომ, კიდევ ერთხელ მოხდეს აღნიშნული პროგრამის რევიზია.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები

ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიული მომზადების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებიც. „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანების თანახმად:

1. *პროფესიული მომზადების პროგრამა* არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

აღნიშნული ტიპის სასერტიფიკატო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს იმ პირებისთვის, რომლებიც ა) გარკვეული ხარისხით ფლობენ ქართულ ქესტურ ენას, თუმცა, ქესტური ენის თარჯიმნის საქმიანობის მაღალი ხარისხით განხორციელებისთვის საჭიროებენ ქართულ ქესტურ ენაში ენობრივი უნარების გაძლიერებას (მათ შორის ლექსიკის), ბ) რომელთაც არ აქვთ გავლილი პროფესიული მომზადების კურსი ქესტური ენის თარჯიმნობაში და გ) არ აქვთ ან მწირი აქვთ ქესტური ენის თარჯიმნად მუშაობის გამოცდილება.

2. *პროფესიული გადამზადების პროგრამა* არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-

2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

აღნიშნული ტიპის სასერტიფიკატო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს იმ თარჯიმნებისთვის, რომლებიც ა) სათანადო დონეზე ფლობენ ქართულ ქვესტურ ენას ან გარკვეულ გაუმჯობესებას საჭიროებენ ქართული ქვესტური ენის მხრივ და ბ) აქვთ ქვესტური ენის თარჯიმნად მუშაობის გარკვეული გამოცდილება.

ორივე სასერტიფიკატო პროგრამისთვის უნდა განისაზღვროს დაშვების წინაპირობა, მათ შორის ქართული ქვესტური ენის ფლობის ხარისხი.

პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებას ერთ-ერთ შემდეგი საფუძველი შეიძლება გააჩნდეს:

ა) პროფესიის სტანდარტი;

ბ) პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) პროფესიული მოდული/მოდულები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილ მოთხოვნები;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08-ს ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან).

იმის გათვალისწინებით, რომ დღეისთვის საქართველოში არც პროფესიის და არც პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტი არ არსებობს, მათ შემუშავებამდე, პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამების მომზადებისას, შესაძლებელია საფუძველს დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08 წარმოადგენდეს, რომელშიც ქვესტური ენის თარჯიმანი შესულია მთარგმნელების, თარჯიმნების და სხვა ლინგვისტების ჯგუფურ ერთეულში.

პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებას და ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.¹⁹

¹⁹ „პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილება.

ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის საუნივერსიტეტო პროგრამები

საბაკალავრო ან მასთან გათანაბრებული პროგრამის შემუშავება და ჟესტური ენის თარჯიმნების საუნივერსიტეტო დონეზე მომზადება, კვალიფიციური და პროფესიონალი ჟესტური ენის თარჯიმნების მომზადების აუცილებელ პირობას წარმოადგენს და ევროპარლამენტის 2016 წლის 23 ნოემბრის ჟესტური ენისა და ჟესტური ენის პროფესიონალი თარჯიმნების შესახებ რეზოლუციას შეესაბამება. ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესია სათანადოდ არის განვითარებული, ისევე, როგორც აშშ-ში, ჟესტური ენის თარჯიმნების მოსამზადებლად საუნივერსიტეტო დონეზე, სულ მცირე საბაკალავრო პროგრამები არსებობს.

საქართველოში ჟესტური ენის თარჯიმნის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების განსაკუთრებით მაღალი პოტენციალი იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნიათ, რომელთაც უცხო ენების ფაკულტეტი აქვთ, რადგან სწორედ უცხო ენების ფაკულტეტის ფარგლებში ხდება ჟესტური ენის თარჯიმნების მომზადება სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ჟესტური ენის თარჯიმანს მოეთხოვება სათანადო ლინგვისტური კომპეტენციების ფლობა როგორც ჟესტურ ენაში, ასევე, სალაპარაკო ენაში. ჟესტური ენის თარჯიმნების საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისთვის, მნიშვნელოვანია, დარგობრივი მახასიათებლების განსაზღვრა. დარგობრივი მახასიათებლები წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული მიმართულების ან დარგის/სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს შესაბამისი განათლების საფეხურების გათვალისწინებით.²⁰ დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მობილობას და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. ამ დოკუმენტით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციები, რომელიც უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაციის (მაგალითად ბაკალავრის მფლობელს). დარგობრივი დოკუმენტი წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს.

²⁰ „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 23 მაისის N340 ბრძანება.

რეკომენდაცია N7 - ქართული შესტური ენის თარჯიმნების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება - რეესტრისა და სერტიფიცირების სისტემა

შესტური ენის თარჯიმნების რეესტრი

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, შესტური ენის თარჯიმნების რეესტრის სისტემა წარმოადგენს როგორც კვალიფიციური შესტური ენის თარჯიმნების აღრიცხვის, ასევე, თარჯიმნების ოფიციალური აკრედიტაციის/სერტიფიცირების და ხარისხის კონტროლის სისტემას და ხელს უწყობს მისი წევრების მუდმივ პროფესიული განვითარებას. შესტური ენის თარჯიმნების რეესტრის სისტემა, რომელიც ახდენს შესტური ენის პრაქტიკოსი თარჯიმნების პროფესიული პრაქტიკის აღიარებას, წარმოადგენს ერთგვარ გარანტს, რომ რეესტრირებული თარჯიმანი აკმაყოფილებს თარჯიმნის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მიღებულ პროფესიულ სტანდარტს. რეესტრის სისტემა ქმნის კვალიფიკაციის და პროფესიული გამოცდილების კონსოლიდაციის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ყრუთა მსოფლიო ფედერაციის (WFD) და შესტური ენის თარჯიმანთა მსოფლიო ასოციაციის (WASLI) მიერ შემუშავებული საერთაშორისო შესტების ინტერპრეტატორის (თარჯიმნის) აღიარების შუალედური პოლიტიკის დოკუმენტი, საერთაშორისო შესტების თარჯიმნად მუშაობისთვის მისი ქვეყნის ეროვნული ორგანოს მიერ რეგისტრაცია/აკრედიტაცია/სერტიფიკაციას მოითხოვს.

შესტური ენის თარჯიმნების რეესტრის სისტემა, თავისი ფუნქციური მრავალფეროვნებით და მართვის ორგანოთი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა, ყველა ქვეყანაში სადაც რეესტრის სისტემა არსებობს, მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შესტური ენის თარჯიმნების ტესტირება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის შენარჩუნება წარმოადგენს. განვითარებული ქვეყნების გარკვეულ ნაწილში, შესტური ენის თარჯიმნების რეესტრს ხშირად თავად პროფესიული გაერთიანებები მართავენ ყრუთა ეროვნულ კავშირთან ერთად, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, პროფესიული კავშირების ჩართულობა არაპირდაპირია.

ასევე, სხვადასხვა ქვეყანას თარჯიმნების რეესტრის განსხვავებული კატეგორიები, თარჯიმნების აკრედიტაციის/სერტიფიცირების სხვადასხვა დონე და გამოცდაზე დაშვების განსხვავებული წინაპირობები გააჩნია (მაგ.: დიდ ბრიტანეთში "რეესტრირებული სტაჟიორი თარჯიმნი" და "რეესტრირებული კვალიფიციური თარჯიმნი" კატეგორიები არსებობს). საქართველოში რეესტრის კატეგორიებისა და გამოცდაზე დაშვების წინაპირობების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი კონტექსტის თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

ამასთანავე, ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიკატი პირს შესაძლოა მიენიჭოს მუშაობის სფეროს, სპეციალიზაციის მიხედვით. სერტიფიცირების მისანიჭებლად შემუშავებული ტესტებიც/შეფასების სისტემაც შესაბამისად ეხმარება და ასახავს დონეების და სფეროების მოთხოვნებს. დანართში N2 მაგალითის სახით მოცემულია ავსტრალიაში ქესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირებისთვის შემუშავებული შეფასება.

როგორც უკვე აღინიშნა, ქესტური ენის თარჯიმნების რეესტრის სისტემა არამარტო კვალიფიციური ქესტური ენის თარჯიმნების აღიარებისა და რეგისტრაციის, არამედ, პროფესიის და პროფესიონალი ქესტური ენის თარჯიმნების განვითარების მასტიმულირებელ სისტემასაც წარმოადგენს. როგორც აკრედიტაცია/სერტიფიცირება, ასევე, მოპოვებული სტატუსის შენარჩუნება, მუდმივი პროფესიული განვითარების და თვით-რეფლექსური პრაქტიკის განხორციელებას მოითხოვს. კანდიდატისთვის მისანიჭებელი ქულები შეიძლება მოიცავდეს როგორც სფეროში ფორმალური განათლების ფლობას, ასევე, სემინარებზე დასწრებას, კონფერენციებში მონაწილეობას, პრაქტიკული მუშაობის გარკვეული გამოცდილების დაგროვებას და დემონსტრირებას (მაგ.: კვალიფიკაციის მისაღებად კანდიდატის მიერ საკუთარი გამოცდილების მტკიცებულებების პორტფოლიოს წარდგენა). აღნიშნული, ეფექტურ გზას წარმოადგენს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა პრაქტიკოსი თარჯიმანი მაქსიმალურად ინფორმირებულია საკუთარი პრაქტიკის სფეროში და განაგრძობს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

ქვეყანაში ქართული ქესტური ენის თარჯიმნების რეესტრის სისტემის შემუშავება, არამარტო კვალიფიციური ქართული ქესტური ენის თარჯიმნების გამოვლენას, არამედ, კვალიფიციური ქართული ქესტური ენის თარჯიმნებისთვის სათანადო და ღირსეული ანაზღაურების განსაზღვრასაც შეუწყობს ხელს მათი კვალიფიკაციის სტატუსის გათვალისწინებით.

ქართული ქესტური ენის თარჯიმნების რეესტრის სისტემის შემუშავება ადგილობრივი კონტექსტის რესურსების შესაბამისად უნდა მოხდეს და შემდეგ ძირითად ასპექტებს უნდა ითვალისწინებდეს:

- ⇒ რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა და ფორმირება - აღნიშნული ორგანო შეიძლება შეიქმნას ქესტური ენის თარჯიმნების პროფესიული ასოციაციის/ქესტური ენის თარჯიმნების და ყრუთა კავშირის მიერ ერთობლივად, ანუ მათი პირდაპირი მონაწილეობით (შესაბამისი დაფინანსების უზრუნველყოფის პირობებში) ან რომელიმე სახელმწიფო უწყების ბაზაზე ქესტური ენის თარჯიმნების და ყრუთა კავშირის არაპირდაპირი მონაწილეობით.
- ⇒ ქესტური ენის თარჯიმნის რეესტრის სტანდარტის შემუშავება, რომელიც რეესტრის წევრებისთვის ადგენს მინიმალურ კომპეტენციასა და პროფესიულ პრაქტიკას და განსაზღვრავს რეესტრის კატეგორიებს/დონეებს.
- ⇒ ქართულ ქესტური ენის ფლობის შემმოწმებელი პანელის/მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბება, რომელიც შედგება კვალიფიციური თარჯიმნების ან თარჯიმანი

პედაგოგებისა და ყრუ პირებისგან. აქვე, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ქართული ჟესტური ენის ფლობის დონეები.

- ⇒ საგამოცდო (აკრედიტაციის/სერტიფიცირების) ტესტების შემუშავება.
- ⇒ რეესტრში თარჯიმნის ჩართვის სისტემის შექმნა - რეესტრში რეგისტრაციის აუცილებელი წინაპირობების შემუშავება;
- ⇒ აკრედიტაციის/სერტიფიკატის შენარჩუნების სისტემის განსაზღვრა - სერტიფიკატის მოქმედების ვადა, დასაგროვებელი ქულები, უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემა, გამოცდილების დამადასტურებელი მტკიცებულებები და სხვა.

პროფესიული სერტიფიცირების სისტემის შემუშავება

როგორც აღინიშნა, სერტიფიცირების სისტემა ჟესტური ენის თარჯიმნების რეესტრის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ქვეყანაში ჟესტური ენის თარჯიმნების პროფესიის განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ქართული ჟესტური ენის სასერტიფიკატო პროგრამების გარდა, სწორედ სერტიფიცირების სტანდარტი და სერტიფიცირების სისტემა არსებობდეს, რომელიც კანდიდატს შესაბამისი საგამოცდო პროცესის შედეგად, პროფესიულ კომპეტენციებს დაუდასტურებს. სერტიფიცირების სისტემა სასერტიფიკატო პროგრამებისგან განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ის განსხვავებები, რომლებიც სასერტიფიკატო პროგრამებსა და სერტიფიცირების სისტემას შორის არსებობს.

ცხრილი 1. სასერტიფიკატო პროგრამებსა და სერტიფიცირების სისტემას შორის არსებული განსხვავება

შეფასებაზე დაფუძნებული სასერტიფიკატო პროგრამა	პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა
მიზანი: უნარების/შესაძლებლობების შეძენა და პრაქტიკის სფეროს სპეციალობის ან უნარ-ჩვევების დადასტურება	მიზანი: პროფესიონალების აღიარება, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ ცოდნას, უნარებს ან კომპეტენციებს
უზრუნველყოფს სწავლებას და ტრენინგებს/მომზადებას (არ ანიჭებს ხარისხს)	აფასებს მანამდე შეძენილ ცოდნას, უნარებს ან/და კომპეტენციებს
მონაწილეთა მიზანია სპეციფიკური ცოდნის, უნარების და/ან კომპეტენციების შეძენა	მიზანს წარმოადგენს მონაწილის კომპეტენციის გადამოწმება/ვალიდირება შესაბამისობის დადგენაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის მეშვეობით

შეფასება გამოიყენება პროგრამით/ტრენინგით განსაზღვრული სწავლის შედეგების ათვისების შესაფასებლად; უკავშირდება უშუალოდ სასწავლო აქტივობებს/პროგრამას.	შეფასება გამოიყენება საბაზისო კომპეტენციების დასადასტურებლად და პროფესიონალების დიფერენცირებისთვის; დამოუკიდებელია კონკრეტული სასწავლო აქტივობებისაგან/პროგრამისგან.
შეფასების შინაარსის ფოკუსი როგორც წესი, უფრო ვიწროა	შეფასების შინაარსის ფოკუსი, როგორც წესი, უფრო ფართოა
ანიჭებს სერტიფიკატს კონკრეტული სწავლის შედეგების დაუფლების აღიარების მიზნით;	ანიჭებს სერტიფიკატს მიღწევების აღიარებისთვის

წყარო: Institute for Credentialing Excellence: ²¹

ამრიგად, ქვესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების სისტემის მიზანია, შეაფასოს თუ რამდენად აქვს კანდიდატს ქვესტური ენის თარჯიმნის პრაქტიკისთვის/საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციები. სერტიფიცირების სისტემა იქმნება პროფესიული პრაქტიკისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და ატრიბუტების გათვალისწინების შედეგად და პროფესიის წარმომადგენლების მუდმივი განვითარებისა და კომპეტენციების გაძლიერების საფუძველს წარმოადგენს. პროფესიული სერტიფიცირება არის ნებაყოფლობითი პროცესი, რომლის დროსაც ხდება კანდიდატის პროფესიული კომპეტენციების შეფასება წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული სერტიფიცირების დროს გამოყენებული შეფასება, დამოუკიდებელია კონკრეტული კურსის ან სხვა საგანმანათლებლო/სასწავლო პროგრამისგან და ამ პროგრამების მიმწოდებლისგან. პროფესიული სერტიფიცირების ძირითადი ფოკუსი არის ცოდნის, უნარების და/ან კომპეტენციების დამოუკიდებლად შეფასება, რომლებიც საჭიროა პროფესიული როლის ან სამუშაოსთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანების და პასუხისმგებლობის კომპეტენტურად შესრულებისთვის. სერტიფიცირების პროცესში მონაწილე კანდიდატმა უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ აკმაყოფილებს სტანდარტებს და შეფასების შედეგად იღებს ხარისხის დამადასტურებელ საბუთს, რომელიც დროში შეზღუდულია (ანუ, იგი შეწყდება ან ამოიწურება წინასწარ განსაზღვრული პერიოდისთვის თუ ინდივიდის მიერ არ იქნება დაკმაყოფილებული განმეორებითი სერტიფიცირების მოთხოვნები).

²¹ <https://www.credentialingexcellence.org/page/certificate-vs-certification>

სერტიფიცირება ასევე მიზნად ისახავს გაზომოს ან გადაამოწმოს კომპეტენციის შემდგომი გაძლიერება განახლებული მოთხოვნების მეშვეობით, რაც პროფესიის უწყვეტი განვითარების წინაპირობას ქმნის. სერტიფიკატის შესანარჩუნებლად, პროფესიის წარმომადგენელმა უნდა შეინარჩუნოს კომპეტენცია და ჩაერთოს სპეციფიკურ აქტივობებში/ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავს კომპეტენციის უწყვეტ გაძლიერებას. თუ რა ხანგრძლივობით მოხდება სერტიფიცირება, დამოკიდებულია პროფესიის სპეციფიკასა და ადგილობრივ კონტექსტზე. მაგალითად აშშ-ში აღნიშნული ციკლი 4 წლიანია (ყოველი სამის წლის შემდეგ). განახლებული სერტიფიკატის მიღების მსურველებმა უნდა გაიარონ სერტიფიცირების შეფასება და ამასთანავე, წარადგინონ უწყვეტი პროფესიული განვითარების/მუშაობის სხვადასხვა მტკიცებულება. მინიჭებული სერტიფიკატი აღნიშნავს, რომ მონაწილეს აქვს სამუშაოსთან დაკავშირებული საჭირო ცოდნა, უნარები და აკმაყოფილებს სერტიფიცირების სხვა მოთხოვნებს (მაგალითად აკადემიური ხარისხი, სამუშაო წლები ან პროფესიული გამოცდილება). აღნიშნული ტიპის მუდმივი პროფესიული განვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების პროფესიასთან მიმართებით, რადგან ენა მუდმივ განვითარებას განიცდის და შესაბამისად, თარჯიმნებისგანაც გაუმჯობესებულ ლინგვისტურ კომპეტენციებს მოითხოვს. გარდა ამისა, საქართველოში ჟესტური ენის თარჯიმნის პროფესია განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება და შესაბამისად, განსაკუთრებულად მოსალოდნელია პროფესიასთან და ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებიც სათანადოდ უნდა აისახოს სერტიფიცირების ყოველი ახალი ციკლის დროს.

ცოდნა, უნარ-ჩვევები, რომლებიც წარმოადგენს სერტიფიცირების სისტემის ფოკუსს, განისაზღვრება სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე (მაგალითად, სამუშაოს/პრაქტიკის ანალიზი, პროფესიული როლის განსაზღვრა). შესაბამისი კვლევისა და ანალიზის შედეგად, პერიოდულად ხდება სერტიფიცირების გამოცდით გათვალისწინებული ცოდნის უნარ-ჩვევების ან კომპეტენციების რევიზია და საჭიროებისამებრ განახლება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სერტიფიცირების გამოცდა ასახავს/ეხმიანება ამჟამინდელი საქმიანობის მოთხოვნებს ან პროფესიულ პრაქტიკას.

მმართველ ორგანოს, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობით, ევალება სერტიფიცირების ზედამხედველობა. ეს ორგანო არის იურიდიულად ან ადმინისტრაციულად სხვა უწყებებისგან/ერთეულებისგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც აკონტროლებს სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა აქტივობის შესახებ არსებით გადაწყვეტილებას. სერტიფიცირების პროგრამის მმართველი ორგანო ინარჩუნებს სერტიფიკატის მისაღებად გამსვლელი სტანდარტის დადგენის უფლებამოსილებას.

როგორც წესი, სერტიფიცირების წესსა და სტანდარტს პროფესიული ორგანიზაცია შეიმუშავებს, თუმცა, აღნიშნულ პროცედურაზე პასუხისმგებლობა შესაძლოა სხვა ორგანომ აიღოს. მაგალითად, საქართველოში ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირება შესაძლოა განხორციელდეს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, რომელსაც

მსგავსი შეფასების განხორციელების გამოცდილება აქვს (მაგ.: მასწავლებელთა, უფროსი სპეციალურ მასწავლებელთა სერტიფიცირება) და ასევე, თავის მხრივ დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უწყებებისგან.

საგამოცდო პროცესის წარმართვისათვის, შესაძლოა, შეიქმნას საგამოცდო პროცესის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრების უფლებამოსილებაც გარკვეული ვადით განისაზღვრება და პროფესიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან/მხარეებისგან იქნება ფორმირებული. მნიშვნელოვანია, საბჭოს შემადგენლობაში არ იყვნენ ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან კანდიდატთა სწავლების პროცესში. პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტების მომზადება საგამოცდო პროცესის ნაწილია. საგამოცდო ტესტების შემუშავება უნდა მოხდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (მაგ.: გამოცდილი ჟესტური ენის თარჯიმნები, დამსაქმებლები, თავად მომხმარებელთა ჯგუფი და სხვა).

რეკომენდაცია N8 - ჟესტური ენის თარჯიმნების ეროვნული პროფესიული ასოციაციის ფორმირება

პროფესიული ასოციაციები წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც უმაღლესი ორგანო ან ქოლგა/გამაერთიანებელი იგივე ან მსგავს სფეროებში მომუშავე პროფესიონალებისთვის. პროფესიულ ასოციაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ პროფესიის სტანდარტი და დაეხმარონ მის წევრებს პროფესიულ განვითარებაში, სწავლის უზრუნველყოფის, ხარისხის კონტროლისა და კვლევის საშუალებით. ამრიგად, პროფესიული ასოციაციები პროფესიის განვითარების მნიშვნელოვან მონაწილე მხარეს წარმოადგენენ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის უმეტეს ქვეყანაში, არსებობს ჟესტური ენის თარჯიმნების პროფესიული ორგანიზაციები.

საქართველოში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების პროფესიული გაერთიანების დაფუძნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას შექმნის ქვეყანაში ჟესტური ენის თარჯიმნების კვალიფიკაციის განვითარებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის ქცევის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის შემუშავებას და რევიზიას, ასევე, ჩართული იქნება პროფესიული სერტიფიცირების, პროფესიული მომზადების პროგრამების განვითარებასა და ქვეყანაში პროფესიის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში. გარდა ამისა, ეროვნული პროფესიული ასოციაციის ფორმირება წინაპირობას შექმნის სამომავლოდ ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების ჟესტური ენის ინტერპრეტატორების მსოფლიო ასოციაციაში (World Association of Sign Language Interpreters - WASLI) გაწევრიანებისთვის და ინტერესის შემთხვევაში, საერთაშორისო ჟესტების ინტერპრეტატორად (თარჯიმნად) მუშაობისთვის (საერთაშორისო ჟესტების თარჯიმნად მუშაობის უფლების მოპოვებისთვის).

განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში). ყრუთა მსოფლიო ფედერაციის (WFD) და ქესტური ენის თარჯიმანთა მსოფლიო ასოციაციის (WASLI) მიერ შემუშავებული საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორის აღიარების შუალედური პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, საერთაშორისო ქესტების თარჯიმნისთვის განსაზღვრული მოთხოვნები მოიცავს ეროვნული და საერთაშორისო ქესტური ენის თარჯიმნებისა და ყრუთა ორგანიზაციების წევრობას. ქესტური ენის თარჯიმნების მსოფლიო ორგანიზაცია (WASLI) იძლევა რეკომენდაციას ქესტური ენის თარჯიმნების ეროვნული პროფესიული ასოციაციების ფორმირების თაობაზე, რომელიც თავის მხრივ, ეროვნულ ყრუთა ასოციაციასთან/ორგანიზაციასთან ითანამშრომლებს. ქესტური ენის თარჯიმნების მსოფლიო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ქესტური ენის თარჯიმნების ეროვნული ასოციაციის ფორმირების სარეკომენდაციო პროცესი. აღნიშნული სარეკომენდაციო პროცესი წარმოდგენილია დანართში N3.

რეკომენდაცია N9 -საკანონმდებლო დოკუმენტებში სათანადო პროფესიული ტერმინის - „ქართული ქესტური ენის თარჯიმანი“ დამკვიდრება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინგლისურენოვან ქვეყნებში და არამარტო, სალაპარაკო და ქესტურ ენას შორის თარგმანის განმახორციელებელს, ქესტური ენის ინტერპრეტატორი ეწოდება. რაც შეეხება საქართველოს კონტექსტს, პრაქტიკაში, ძირითადად ტერმინი „ქესტური ენის თარჯიმანი“ გამოიყენება. იგივე ტერმინია გამოყენებული დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO-08-ს ქართულენოვან თარგმანშიც. თუმცა, გარკვეულ დოკუმენტებში, მათ შორის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში²² ქესტური ენის ინტერპრეტატორის/თარჯიმნის ეკვივალენტად ტერმინი „სურდოთარჯიმანია“ მოხსენიებული.

რეკომენდებულია, საქართველოში საერთაშორისოდ მიღებულ ტერმინთან მეტად შესაბამისი და მიახლოებული ტერმინის დამკვიდრება - „ქართული ქესტური ენის ინტერპრეტატორი“ ან „ქართული ქესტური ენის თარჯიმანი“. აღნიშნული, ხელს შეუწყობს მომავალში ქართული ქესტური ენის თარჯიმნების საერთაშორისო ოჯახთან/პროფესიულ კავშირებთან ჰარმონიზაციას და ასევე, ქვეყანაში ქართული ქესტური ენის მნიშვნელობის აქცენტირებას და პოპულარიზაციას. ამრიგად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სხვადასხვა ადგილობრივი საკანონმდებლო/მარეგულირებელი დოკუმენტი და „სურდოთარჯიმანი“ ჩანაცვლდეს „ქესტური ენის ინტერპრეტატორის“ ან „ქესტური ენის თარჯიმნის“ ტერმინით.

²² 2020 წ. 14 ივლისი

გამოყენებული წყაროები

- Timmermans, N (2005). The status of sign languages in Europe. In cooperation with the Committee on the Rehabilitation and Integration of People with disabilities (CD-P-RR). ISBN 92-871-5720-0. Council of Europe.
- NAD-RID Code of Professional Conduct. [Registry of Interpreters for the Deaf \(rid.org\)](http://rid.org)
- Professional Sign Language Interpreting. [Registry of Interpreters for the Deaf \(rid.org\)](http://rid.org)
- Roberson, L & Shaw, Sh. (Editors) (2018). Signed Language Interpreting in the 21st Century. An Overview of the Profession. Gallaudet University Press Washington, DC.
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. <https://eqe.ge/>
- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი. სეკ 006-2016. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 20016.
- პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი: ISCO-0808. შრომის საერთაშორისო ბიურო. ქ. ჟენევა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 2012.
- De Wit, M. (2020). A Comprehensive Guide to Sign Language Interpreting in Europe.
- [Registry of Interpreters for the Deaf \(rid.org\)](http://rid.org)
- European Parliament resolution of 23 November 2016 on Sign Languages and Professional Sign Language Interpreters (2016/2952(RSP)) (2018/C 224/09). Official Journal of the European Union 27.6.2018.
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (2020) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1>
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (2006) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=89>
- საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ (2009) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=129>
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანება ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე (2018).

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0>

- სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
<https://eqe.ge/ka/page/static/669/profesiuli-kvalifikatsiis-formireba-ganvitareba>)
- Protecting and promoting sign languages in Europe
<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=25211&lang=en>
- European Parliament resolution of 23 November 2016 on sign languages and professional sign language interpreters (2016/2952(RSP)) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1539164158155&uri=CELEX:52016IP0442>
- " European Parliament Resolution of 23 November 2016 on Sign languages and professional sign language interpreters"
<https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/142/language-policy>
- International Sign Interpreter Recognition Interim Policy and Guidelines
<https://2tdzpf2t7hxmqqhq3njnol1-wpengine.netdna-ssl.com/wp-content/uploads/2016/10/WFD-WASLI-International-Sign-Interpreter-Recognition-Interim-Policy-and-Guidelines.pdf>
- British Sign Language (BSL) interpreters help deaf and hearing people communicate with one another <https://nationalcareers.service.gov.uk/job-profiles/british-sign-language-interpreter>
- The status of the translation profession in the European Union https://termcoord.eu/wp-content/uploads/2013/08/The_status_of_the_translation_profession_in_the_European_Union.pdf
- Sign Language Rights in the Framework of the Council SIGN LANGUAGE RIGHTS IN THE of Europe and its member States <https://rm.coe.int/168093e08f>
- Sign language rights in the framework of the CoE and its member States Report. A comparative analysis of the status of sign languages in Europe/©Nina Timmermans, consultant Strasbourg, France/December 2003.

- Defining Futures for Quality Certification and Assessment-Based Certificate Programs. Institute for Credentialing Excellence, 2010
[file:///C:/Users/Maiko/Downloads/Features%20Document%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Maiko/Downloads/Features%20Document%20(1).pdf)
- პროფესიული კვალიფიკაციის ფორმირება-განვითარება
<https://eqe.ge/ka/page/static/669/profesiuli-kvalifikatsiis-formireba-ganvitareba>
- British Sign Language Qualifications. <https://www.signature.org.uk/british-sign-language-qualifications/>
- ASL Content standards <https://www2.gallaudet.edu/documents/ASL-Standards/K-12-ASL-Content-Standard.pdf>
- Standards for Learning American Sign Language. A Project of the American Sign Language Teachers Association. https://www.aslta.org/wp-content/uploads/2014/07/National_ASLS_Standards.pdf
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 23 მაისის N340 ბრძანება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“
- Signature <https://www.signature.org.uk>
- National Union of British Sign Language Interpreters
<https://nubsli.com/guidance/the-national-union-of-british-sign-language-interpreters-briefing-document/>
- <https://www.naati.com.au/>
- <https://www.careerexplorer.com/careers/sign-language-interpreter/>
- <https://interpretersunlimited.com/best-asl-interpreters/>
- <https://www.ecml.at/Portals/1/News%20articles/Eeva%20Tupi%20-%20Sign%20language%20rights%20in%20the%20framework%20of%20the%20CoE%20and%20its%20member%20States.pdf>

დანართი N1 - NAD-RID-ის პროფესიული ქცევის კოდექსი

მოქმედების სფერო

ყრუთა ეროვნული ასოციაცია (NAD) და ყრუთა თარჯიმნების რეესტრი (RID) იცავს თარჯიმნების პროფესიონალიზმისა და ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს. ამ კოდექსში მოცემულია პროფესიული ქცევის (მანამდე ცნობილი როგორც ეთიკის კოდექსი) შვიდი სფეროს დებულება, ოთხი სახელმძღვანელო პრინციპი, რასაც თან ახლავს შესაბამისი საილუსტრაციო ქცევა.

ამ პროფესიული ქცევის კოდექსის დებულებები უნდა განიხილებოდეს ჰოლისტურად, როგორც პროფესიული ქცევის სახელმძღვანელო. ამ დოკუმენტში მოცემულია კოდექსის შესრულებაში დახმარება. სახელმძღვანელო პრინციპები გვთავაზობს იმ საფუძველს, რასაც ეფუძნება დებულებები. საილუსტრაციო ქცევა არ არის ამომწურავი, მაგრამ მიუთითებს ქცევაზე, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ან არღვევდეს კონკრეტულ დებულებას ან მთლიანობაში კოდექსს.

გაურკვევლობის შემთხვევაში, მკითხველს შეუძლია მიმართოს დებულების მკაფიო, ექსპლიციტურ ენას. დამატებითი განმარტებების საჭიროების შემთხვევაში, მკითხველმა შეიძლება მიმართოს ყრუთა თარჯიმნების რეესტრის ეროვნულ ოფისს. პროფესიული ქცევის ეს კოდექსი საკმარისია და შესაბამისია თარჯიმნის როლებისა და პასუხისმგებლობის შესასრულებლად ყველა ტიპის სიტუაციაში (მაგალითად, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სამედიცინო). თარჯიმნობის ცალკეული სფეროსთვის ცალკე კოდექსის არსებობა არ არის სავალდებულო და არც რეკომენდებულია.

ფილოსოფია

ამერიკის ყრუთა საზოგადოება წარმოადგენს კულტურულ და ლინგვისტურ ჯგუფს, რომელსაც აქვს კომუნიკაციისა და საზოგადოების ყველა ასპექტში მონაწილეობის აბსოლუტური უფლება. ამერიკელ ყრუთა საზოგადოების სრულ წევრებს აქვთ ინფორმირებული არჩევანისა და თარჯიმნის უმაღლესი ხარისხის სერვისის მიღების უფლება. ამერიკის ყრუ ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა საკომუნიკაციო უფლებების აღიარება, წარმოადგენს პროფესიული ქცევის კოდექსში მოცემული დებულებების, პრინციპებისა და ქცევის საფუძველს.

ხმის მიცემის პროტოკოლი

მოცემული პროფესიული ქცევის კოდექსი ელექტრონული მიმოწერის რეფერენდუმის საშუალებით წარდგენილი იყო სერტიფიცირებული თარჯიმნებისთვის, რომლებიც არიან ყრუთა თარჯიმნების რეესტრის და ყრუთა ეროვნული ასოციაციის კარგი რეპუტაციის მქონე წევრები. ხმის მიცემა გულისხმობდა კოდექსის მიღებას ან მის უარყოფას.

პროფესიული ქცევის კოდექსის მიღება

ქესტური ენის თარჯიმნებმა, რომლებიც წარმოადგენენ ყრუთა თარჯიმნების რეესტრის და ყრუთა ეროვნული ასოციაციის კარგი რეპუტაციის მქონე წევრებს, ხმა მისცეს პროფესიული ქცევის კოდექსის მიღებას 2005 წლის 1 ივლისს. პროფესიული ქცევის კოდექსი წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომლის შეცვლაც შესაძლოა მოხდეს დროთა განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, ზემოხსენებულ წევრებს შესაძლოა მოუწოდონ ხმა მისცენ კოდექსის დებულებებში გარკვეული ცვლილებების შეტანას. სახელმძღვანელო პრინციპები და საილუსტრაციო ქცევა შეიძლება პერიოდულად შეიცვალოს RID-ის ეთიკური პრაქტიკის სისტემის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროფესიული ქცევის კოდექსის ეს სექციები არ მოითხოვს წევრებისგან ხმის მიცემას. ამასთან, წევრებს ურჩევნ შეიმუშაონ ცვლილებების რეკომენდაციები დოკუმენტის მომავალი განახლებებისთვის.

სახელმძღვანელო პრინციპების ფუნქცია

თითოეული თარჯიმნის ვალდებულებაა გამოიყენოს განსჯა, კრიტიკული აზროვნება, პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული სარგებელი და მოახდინოს საკუთარ წინარე პროფესიულ პრაქტიკაზე რეფლექსია.

ამ დოკუმენტის სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს ისეთ ცნებებს, როგორიცაა კონფიდენციალურობა, ლინგვისტური და პროფესიული კომპეტენცია, მიუკერძოებლობა, პროფესიული ზრდა და განვითარება, ეთიკური ბიზნეს პრაქტიკა და თარგმნის სიტუაციებში მონაწილეთა ინფორმირებული არჩევანის უფლება.

სახელმძღვანელო პრინციპების მამოძრავებელი ძალაა ხედვა, რომ თარჯიმანმა არ უნდა მიაყენოს ზიანი. როდესაც თარჯიმნები ამ პრინციპებს იყენებენ თავიანთი ქცევისას, მათ ახსოვთ, რომ მათი არჩევანი მართულია „თარჯიმნის გონივრული სტანდარტით“. ეს სტანდარტი წარმოადგენს ჰიპოთეტურ თარჯიმანს, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, არის ინფორმირებული, ფლობს შესაბამის უნარებს, იცნობს პროფესიულ სტანდარტებს და სამართლიანია.

დებულებები

1. თარჯიმნები იცავენ კონფიდენციალური კომუნიკაციის სტანდარტებს.
2. თარჯიმნები ფლობენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რომელიც საჭიროა თარგმნის კონკრეტულ/სპეციფიკურ სიტუაციაში.
3. თარჯიმნები იქცევიან კონკრეტული თარგმნის სიტუაციის შესაბამისად.
4. თარჯიმნები ავლენენ მომხმარებელთა მიმართ პატივისცემას.

5. თარჯიმნები გამოხატავენ პატივისცემას კოლეგების, სტაჟიორების და პროფესიის სტუდენტების მიმართ.

6. თარჯიმნები იცავენ ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას.

7. თარჯიმნები ეწევიან პროფესიულ განვითარებას.

გამოყენება

ა. პროფესიული ქცევის ეს კოდექსი ვრცელდება ყრუთა თარჯიმნების რეესტრის სერტიფიცირებულ და ასოცირებულ წევრებზე, ყრუთა ეროვნული ასოციაციის სერტიფიცირებულ წევრებზე, სტაჟიორებზე და პროფესიის სტუდენტებზე.

ბ. ფედერალურმა, შტატის ან სხვა წესდებამ ან რეგულაციებმა შეიძლება შეცვალონ პროფესიული ქცევის ეს კოდექსი. როდესაც ადგილობრივი, შტატების ან ფედერალური კანონები ამ კოდექსთან კონფლიქტში მოდის, თარჯიმანი ემორჩილება უზენაეს კანონს.

გ. პროფესიული ქცევის ეს კოდექსი ვრცელდება თარჯიმნობის სიტუაციებზე, რომლებიც ხორციელდება პირისპირ ან დისტანციურად.

განმარტებები

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის შემდეგი ტერმინები გამოიყენება:

კოლეგები: სხვა თარჯიმნები.

ინტერესთა კონფლიქტი: კონფლიქტი კერძო ინტერესებს შორის (პირადი, ფინანსური ან პროფესიული) და თარჯიმნის ოფიციალურ ან პროფესიულ პასუხისმგებლობას შორის, როდესაც თარჯიმანი ნდობით არის აღჭურვილი, იქნება ეს რეალური თუ ასეთად აღქმული, სპეციფიკურ თარჯიმნობის სიტუაციაში.

მომხმარებლები: ფიზიკური პირები და სუბიექტები, რომლებიც თარჯიმნის სიტუაციის ნაწილია. ეს მოიცავს ყრუ, ყრუ-უსინათლო, სმენადაქვეითებულ და სმენის მქონე ინდივიდებს.

1.0 კონფიდენციალობა

დებულება: თარჯიმნები იცავენ კონფიდენციალური კომუნიკაციის სტანდარტებს.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებს აქვთ საკუთარი როლის რწმენა, როგორც კომუნიკაციის ლინგვისტური და კულტურული ხელშემწყობების. კონფიდენციალურობას ძალიან აფასებენ მომხმარებლები და ის აუცილებელია ყველა ჩართული პირის დასაცავად. თარჯიმნობის თითოეულ სიტუაციას (მაგალითად, დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების, სამართლის, სამედიცინო, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო) აქვს კონფიდენციალურობის სტანდარტი.

თარჯიმნის გონივრული სტანდარტის თანახმად, პროფესიონალმა თარჯიმნებმა უნდა იცოდნენ კონფიდენციალურობის ზოგადი მოთხოვნები და კონფიდენციალობის სხვადასხვა დონის გამოყენება. კონფიდენციალურობის გამონაკლისი მოიცავს, მაგალითად, ფედერალურ და შტატების კანონებს, რომელთა თანახმადაც, მოითხოვება ძალადობის ან სუიციდის საფრთხის სავალდებულო შეტყობინება, ან სასამართლოში მოწმის სახით გამოცხადება.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

- 1.1. აზიარებენ დავალებასთან (თარგმანთან) დაკავშირებულ ინფორმაციას მხოლოდ კონფიდენციალურ და საჭიროების საფუძველზე (მაგალითად, სუპერვიზორთან, თარჯიმანთა გუნდის წევრებთან, საგანმანათლებლო გუნდის წევრებთან, დამქირავებელთან).
- 1.2. მონაცემებს, ინვოისებს, ჩანაწერებს ან სხვა სიტუაციურ ან მომხმარებლისთვის სპეციფიკურ ინფორმაციას მართავენ მომხმარებლის კონფიდენციალურობის დაცვის (მაგ., დოკუმენტის განადგურება, ჩაკეტილი ფაილები) შესაბამისი წესით.
- 1.3. ახდენენ მომხმარებლების ინფორმირებას, როდესაც ფედერალური ან შტატის ავტორიტეტები მოითხოვენ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას.

2.0 პროფესიონალიზმი

დებულება: თარჯიმნები ფლობენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რომელიც საჭიროა კონკრეტული თარგმნის სიტუაციისთვის.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებისგან მოელიან, რომ იყვნენ ინფორმირებულნი ენის განვითარებისა და თარჯიმნის პროფესიასთან დაკავშირებულ მიმდინარე ტენდენციების შესახებ, ისევე, როგორც ამერიკის ყრუთა საზოგადოების. თარჯიმნები დათანხმდებიან დავალებებს/სამუშაოს მათი უნარების, კომუნიკაციის მოდალობის, გარემოს და მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინებით. თარჯიმნებს აქვთ ცოდნა ამერიკული ყრუთა კულტურისა და სიყრუესთან დაკავშირებული რესურსების შესახებ.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

- 2.1. უზრუნველყოფენ მომსახურების მიწოდებას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული წარმომავლობისა, სქესის, რელიგიისა, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა ან სხვა რაიმე ფაქტორისა.
- 2.2. აფასებს მომხმარებლის საჭიროებებს და თარგმნის სიტუაციას დავალების დაწყებამდე და მის განმავლობაში და საჭიროებისამებრ ახდენენ მორგებებს.

2.3. გადასცემენ შეტყობინებას სიზუსტით, კომუნიკაციის შინაარსისა და სულისკვეთების დაცვით, მომხმარებელთათვის ყველაზე მარტივად გასაგები ენის გამოყენებით და შეცდომების ფრთხილად და სწრაფად გამოსწორებით.

2.4. მოითხოვენ დახმარებას (მაგ. სერტიფიცირებული ყრუ თარჯიმნების, გუნდის წევრების, ენის ფასილიტატორების) როდესაც ეს საჭიროა შეტყობინების სრულად გადმოსაცემად ან განსაკუთრებული კომუნიკაციური გამოწვევების გადასაჭრელად (მაგ. კოგნიტური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებელი, უცხოური ქესტური ენა, ენის განვითარების მხოლოდ საწყისების მცოდნე მომხმარებელი ან ფორმალური განათლების არმქონე ან ენის არმცოდნე).

2.5. თავს იკავებს კონსულტაციის გაწევისგან, რჩევების მიცემისგან ან პირადი მოსაზრებების გაზიარებისგან.

2.6. გონივრულად აწვდის ინფორმაციას ხელმისაწვდომი თარჯიმნის ან საზოგადოებრივი რესურსების შესახებ ან ახდენს გადამისამართებას მომხმარებელთა უფლებების დარღვევის გარეშე.

3.0 ქცევა

დებულება: თარჯიმნები იქცევიან კონკრეტული თარგმნის სიტუაციის შესაბამისად.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებისგან მოელოან, რომ ისინი სათანადოდ წარმოაჩენენ თავს საკუთარი ქცევითა და გარეგნობით. ისინი თავს აარიდებენ სიტუაციებს, რომლებიც იწვევს როლებში კონფლიქტს ან ინტერესთა კონფლიქტს, იქნება ეს რეალური თუ ასეთად აღქმული.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

3.1. კონსულტაციას აწარმოებენ შესაბამის პირებთან თარგმნის სიტუაციის შესახებ იმისათვის, რომ განსაზღვრონ ეფექტური თარგმნისთვის აუცილებელი საკითხები, როგორიცაა განთავსება და ადაპტაცია.

3.2. უარს ამბობენ დავალებებზე ან ტოვებენ თარჯიმნის პროფესიას, თუ კომპეტენტური არ არიან ფიზიკური, მენტალური ან ემოციური ფაქტორების მიზეზით.

3.3. ერიდებიან ორმაგი ან ურთიერთსაწინააღმდეგო როლების შესრულებას ინტერდისციპლინარულ სფეროში (მაგალითად, საგანმანათლებლო ან ფსიქიკური ჯანმრთელობის გუნდები) ან სხვა გარემოში.

3.4. შესაბამისობაში არიან დადგენილ სამუშაო ქცევის კოდექსთან, აცნობებენ შესაბამის პერსონალს, თუ არსებობს წინააღმდეგობა პროფესიული ქცევის კოდექსთან და აქტიურად ეძიებენ საკითხის მოგვარებას, თუ ეს გამართლებულია.

- 3.5. იქცევიან და თავს წარმოაჩენენ სათანადოდ და ზრუნავენ ტანსაცმლის არჩევაზე.
- 3.6. თავს იკავებენ გონების-შემცვლელი ნივთიერებების გამოყენებისგან მოვალეობების შესრულებამდე ან შესრულების დროს.
- 3.7. მხარეებს განუცხადებენ ნებისმიერ რეალურ ან ასეთად აღქმულ ინტერესთა კონფლიქტს.
- 3.8. თავს არიდებენ რეალურ ან ასეთად აღქმულ ინტერესთა კონფლიქტს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ან ხელი შეუშალოს თარჯიმნის მომსახურების ეფექტურობას.
- 3.9. თავს იკავებენ კონფიდენციალური თარგმნილი ინფორმაციის გამოყენებისგან პირადი, ფულადი ან პროფესიული მოგების/სარგებლის მიღების მიზნით.
- 3.10. თავს იკავებენ კონფიდენციალური თარგმნილი ინფორმაციის გამოყენებისგან პირადი ან პროფესიული კავშირების სარგებლის მიღების მიზნით.

4.0. მომხმარებლის პატივისცემა

დებულება: თარჯიმნები ავლენენ მომხმარებლის პატივისცემას.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებისგან მოელიან, რომ ისინი პატივს სცემენ მომხმარებელთა უპირატესობებს თარჯიმნების შერჩევაში და თარგმნის დინამიკაში, აღიარებენ რა კვალიფიკაციის, ხელმისაწვდომობის და სიტუაციის რეალობებს.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

- 4.1. ითვალისწინებენ მომხმარებელთა მოთხოვნებს ან საჭიროებებს ენის უპირატესობებთან დაკავშირებით და გადასცემენ შეტყობინებას სათანადოდ (თარგმნილი თუ ტრანსლიტერაციული).
- 4.2. ყოველთვის უდგებიან მომხმარებელს პროფესიული ქცევით.
- 4.3. სამუშაოზე/დავალებაზე სტაჟიორის მიყვანამდე მომხმარებლებისგან მოიპოვებენ თანხმობას.
- 4.4. ხელს უწყობენ კომუნიკაციის ხელმისაწვდომობასა და თანასწორობას და მხარს უჭერენ მომხმარებლის სრულ ინტერაქციას და დამოუკიდებლობას.

5.0 პატივისცემა კოლეგების მიმართ

დებულება: თარჯიმნები გამოხატავენ პატივისცემას კოლეგების, სტაჟიორებისა და პროფესიის სტუდენტების მიმართ.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებისგან მოელიან, რომ ისინი ითანამშრომლებენ კოლეგებთან ეფექტური თარჯიმნის მომსახურების მიწოდების გასაძლიერებლად. მათ ასევე ესმით, რომ კოლეგებთან ურთიერთობის მანერა, ასახავს ზოგადად პროფესიას.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

5.1. ინარჩუნებენ ცივილურ დამოკიდებულებას კოლეგების, სტაჟიორებისა და სტუდენტების მიმართ.

5.2. თანამშრომლობენ გუნდის წევრებთან დავალებების შესრულებამდე ლოგისტიკურ საკითხებში კონსულტაციის გზით, პროფესიონალურ და თავაზიან დახმარებას უწევენ კოლეგებს როდესაც მიმართავენ და თარჯიმნის მხარდამჭერის როლში ყოფნისას, მონიტორინგს უწევენ შეტყობინების სიზუსტეს.

5.3. პრივატულად განიხილავენ კოლეგებთან ეთიკური და პროფესიონალური ქცევის დარღვევებს და მათი მოგვარების მიზნით იყენებენ კონფლიქტის მოგვარების სტანდარტული მეთოდებს. ოფიციალური საჩივარი შეაქვთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული მცდელობები წარუმატებლად დასრულდება ან დარღვევები საზიანო ან ხშირი/რეკურენტულია.

5.4. ეხმარებიან და წახალისებენ კოლეგებს ინფორმაციის გაზიარებით და მენტორის ფუნქციის შესრულებით ასეთი საჭიროების შემთხვევაში.

5.5. მოიპოვებენ კოლეგების თანხმობას დავალებაზე სტაჟიორის მიყვანამდე.

6.0 ბიზნეს პრაქტიკა

დებულება: თარჯიმნები ინარჩუნებენ ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებისგან მოელიან, რომ ისინი აწარმოებენ თავიანთ საქმეს პროფესიონალურად, იქნება ეს კერძო პრაქტიკა თუ სააგენტოს ან სხვა სუბიექტის სამსახურში. პროფესიონალ თარჯიმნებს უფლება აქვთ მიიღონ საარსებო მინიმუმი მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების საფუძველზე. თარჯიმნებს ასევე აქვთ უფლება ისეთ სამუშაო პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მომსახურების ეფექტურად განხორციელებას.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

6.1 ზუსტად წარმოაჩენენ კვალიფიკაციას, როგორცაა სერტიფიკატი, განათლება და გამოცდილება და მოთხოვნის შემთხვევაში წარადგენენ დოკუმენტაციას.

6.2 პატივს სცემენ პროფესიულ ვალდებულებებს და წყვეტენ დავალებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის სამართლიანი და დასაბუთებული საფუძველი არსებობს.

6.3 ხელს უწყობენ პირობებს, რომლებიც განაპირობებენ ეფექტურ კომუნიკაციას, აცნობებენ ჩართულ მხარეებს, თუ ასეთი პირობები არ არის და ეძებენ პირობების გაუმჯობესების საშუალებებს.

6.4. დროულად აცნობებენ შესაბამის მხარეებს, როდესაც დაგვიანებით ან ვერ ასრულებენ დავალებას.

6.5. იტოვებენ დავალების უარყოფის ან შეწყვეტის შესაძლებლობას, თუ სამუშაო პირობები არ არის უსაფრთხო, ჯანსაღი ან თარგმნისთვის ხელსაყრელი.

6.6. თავს იკავებენ შევიწროებისა და იძულებისაგან თარჯიმნის მომსახურების დაწყებამდე, მის განმავლობაში ან მის შემდეგ.

6.7. უწყვენ უფასო მომსახურებას სამართლიანად და გონივრულად.

6.8. ახდენენ სამართლიან და გონივრულ გადასახადს თარჯიმნის მომსახურების შესრულებისთვის და ახდენენ პროფესიონალურად და გონივრულად.

7.0 პროფესიული განვითარება

დებულება: თარჯიმნები ეწევიან პროფესიულ განვითარებას.

სახელმძღვანელო პრინციპი:

თარჯიმნებისგან მოელიან, რომ ისინი ხელს უწყობენ საკუთარი თარჯიმნის კომპეტენციების განვითარებასა და შენარჩუნებას და აძლიერებენ პროფესიას ცოდნისა და უნარების მუდმივი განვითარების გზით.

საილუსტრაციო ქცევა - თარჯიმნები:

7.1 ცოდნის ამაღლება და უნარების განმტკიცება ისეთი აქტივობებით, როგორიცაა:

- უმაღლესი განათლების მიღება;
- სემინარებსა და კონფერენციებზე დასწრება;
- მენტორისა და სუპერვიზიის შესაძლებლობების ძიება;
- სათემო ღონისძიებებში მონაწილეობა; და
- დამოუკიდებელ სწავლაში ჩართვა.

7.2 ითვალისწინებენ კანონებს, პოლიტიკას, წესებს და რეგულაციებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პროფესიაზე.

დანართი N2 - ავსტრალიაში ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიცირების ტესტის მაგალითი

ქესტური ენის თარჯიმნის სერტიფიცირების ტესტი შემდეგ 8 დავალებას მოიცავს:

ორი დიალოგი

პირისპირ თარგმნის ერთი თანმიმდევრული დიალოგის დავალება

დისტანციური თარგმნის ერთი თანმიმდევრული დიალოგის დავალება

ორი მხედველობითი/ვიზუალური თარგმანი (იმავე სფეროებში, რომელშიც დიალოგის დავალებაა)

ერთი ვიზუალური თარგმანი ინგლისურისგან განსხვავებულ ენაზე (LOTE), რომელიც უკავშირდება პირისპირ დიალოგის დავალებას და უშუალოდ მის მერე ხორციელდება

ერთი ვიზუალური თარგმანი ინგლისურ ენაზე - დისტანციური დიალოგის დავალებასთან დაკავშირებული და უშუალოდ მის შემდეგ

ოთხი მონოლოგი

ერთი უწყვეტი თარგმნა - მონოლოგი ქესტურად

ერთი უწყვეტი თარგმნა - მონოლოგი მეორე ენაზე

ერთი უწყვეტი სიმულტანური თარგმნა - მონოლოგი ქესტურად

ერთი უწყვეტი სიმულტანური თარგმნა - მონოლოგი მეორე ენაზე

დავალებები მოიცავს განსხვავებულ სიტუაციებს სხვადასხვა სფეროებიდან, მათ შორის, ერთს მაინც ჯანმრთელობის სფეროდან და ერთს სამართლებრივი სფეროდან.

დანართი N3 - ჟესტური ენის თარჯიმნების მსოფლიო ორგანიზაციის (WASLI) სარეკომენდაციო პროცესი ჟესტური ენის თარჯიმნების ეროვნული გაერთიანების ფორმირებისთვის

ინდივიდებმა (იგულისხმება თარჯიმნები და სხვა ნებისმიერი პირები, რომლებიც მხარს უჭერენ და ეთანხმებიან ეროვნული ასოციაციის დაარსებას) შემდეგი ასპექტები უნდა გაითვალისწინონ:

- ✓ შეათანხმონ მიზნები, თუ რატომ უნდა დაფუძნდეს ეროვნული ასოციაცია.
- ✓ შეათანხმონ ასოციაციის შექმნის მიზნები და ამოცანები.
- ✓ განიხილონ და გადაწყვეტონ, თუ როგორ უნდა შექმნან ასოციაცია საუკეთესო სტრუქტურული თვალსაზრისით, თუ როგორ მიიღებენ გადაწყვეტილებებს და ვინ რაზე იქნება პასუხისმგებელი.
- ✓ წინა საფეხურებზე დაყრდნობით, შეიმუშაონ სათანადო მმართველობითი დოკუმენტი/კონსტიტუცია; შესაბამისად, მმართველობითი დოკუმენტი მოიცავს მათ სურვილებს, ვისაც სურს გახდეს ასოციაციის წევრი.
- ✓ გაითვალისწინონ ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა და ის ადამიანები, რომლებიც აირჩევიან განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის ასაღებად.
- ✓ ადამიანებმა, რომლებიც ასოციაციას უხელმძღვანელებენ, უნდა მოამზადონ გეგმა, თუ როგორ იმუშავებს ასოციაცია თავისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად (მათ შორის, რა დახმარება იქნება მათთვის საჭირო).
- ✓ უნდა დარწმუნდნენ, რომ გეგმა ეხება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა: (1) ეთიკის კოდექსი (2) სპეციალისტების ტრენინგი/მომზადება (3) სტანდარტები (4) პროფესიული განვითარება.
- ✓ უნდა დარწმუნდნენ, რომ ასოციაციის შექმნის პროცესი შეესაბამება ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ მოთხოვნებს.
- ✓ მოილიონ რჩევა იმ სხვა ორგანიზაციებისა და პირებისგან, რომლებსაც აქვთ ასოციაციის დაფუძნების ექსპერტიზა და რომლებიც მხარს უჭერენ კონკრეტული ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს. აგრეთვე WASLI -ის რეგიონალური წარმომადგენლისგან.